ხუთშაბათი, 25 თებერვალი 1910 წ. № 19

# ახალი სხივი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთი „ახალი სხივი" ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. თფილისში 80 კაპ., თფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ. [illegible]
განცხადებების ფასი: [illegible] 15 კაპ. [illegible]
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები, ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ერთი შაური. რედაქციის ადრესი: თფილისი, ვანქის ქუჩა



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ახალი სხივი"

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის

გაზეთი ღირს: თფილისსა და თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., საზღვარ-გარეთ: ერთი წლით 14 მ., ნახევარი წლით 7 მან. სამი თვით: თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ., ერთი თვით: თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კ.

ხელის მოწერა მიიღება: თფილისში „ახალი სხივის" კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ჭიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კეცხარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში ს. ორაგველიძესთან. დანარჩენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნონ ფული რედაქციის კანტორაში.

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა № 3, შემოსავალი დიდი ვანქის ქუჩიდან.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. „Шрома", Калистрату Конст. Цуладзе.


ღრმათ დამწუხრებულნი ვლადიმერ ივანესძე, არჩილ, ვანო და ბაბალე მაჭავარიანები; სოლომონ იოსებისძე და ანნა შიოს ასული ნაცვლიშვილები, მარიამ ისაკის ასული მაჭავარიანისა; ნატალია ნიკოლოზის ასული მაყაშვილისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი მეუღლისას—მეორენი, დედისას—მესამე დისას—მეოთხე—მულისას, მეხუთე რძლისას, ხოლო მეექვსე—ბიძაშვილის

### თიკო (თინათინ) იოსების ასულის მაჭავარიანისას

ცხედარს გამოასვენებენ საკუთარი ბინიდან (რევაზოვის ქუჩ. № 5) წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში დილის ათის ნახევარ საათზე დღეს, 25 თებერვალს და წირვის შემდეგ დაკრძალავენ წმ. ნინოს სასაფლაოზე.

გულდამწუხრებულნი: ალექსი მდინარაძე, სამსონ, ისააკ და ირაკლი ებრალიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი [illegible] მეუღლისას და მეორენი საყვარელ და დაუვიწყარ დის

### მაკრინე (ებრალიძის ასულს) მდინარაძისას,

რომლის წასვენება ლანჩხუთიდან ს. ვაკიჯვარში მოხდება 24 თებერვალს. დაკრძალვა 27 თებერვალს დღითი შაბათს ნაშუადღევის 3 საათზე ფამფალეთის ეკლესიაში. (1—1)

წარმოდგენა 38 **ქართული თეატრი** წარმოდგენა 38

**პარასკევს, 26 თებერვალს 1910 წ.**

ბენეფისი კ. მესხისა

**ვლ. ალექსი-მესხიშვილის** და მთელი დასის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება ახალი პიესა

I.

## ხალხის სიკეთე

სამ მოქმედებათ თ. ბირელლისა. თარ. აბაკელიასი.

**სოლონის** როლს შეასრულებს **ვლ. ალ-მესხიშვილი. ეზოპისა—კ. მესხი.**

II.

## სიკვდილი ნაპოლეონისა

ერთ მოქმედებათ, თარ. აბაკელიასი.

**ნაპოლეონის** როლს შეასრულებს **კ. მესხი.**

**ადგილების ფასები საბენეფისოა** — **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**შაბათს, 27 თებერვალს 1910 წ.**

ბენეფისი ნიკო გვარამისა და სოსო ივანიძისა

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ **ვლ. ს. ალ.-მესხიშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება ლეონიდ ანდრეევის ცნობილი პიესა:

## დღენი ჩვენი ცხოვრებისა

პიესა 4 მოქ. თარგ. ელიოზიშვილისა.

**მონაწილეობენ:** ქქ. მ. მდივანი, ნ. ჯავახიშვილი, მ. ნებიერიძე, პ. შოთაძე, ბბ. ვლ. ალ.-მესხიშვილი, ბ. ანიძე, ი. გრიშაშვილი, ი. ივანიძე, ნ. გვარაძე, ი. ქევიძე, დ. მგალოგლიშვილი, ი. მურვანიშვილი, ვ. მატარაძე, შ. საფაროვი.

**მოწაფეებს არ შეუშვებენ**

**ფასები ჩვეულებრივია** — **დასაწყისი საღ. 8 საათზე.**

რეჟისორი: **გლ. ალ.-მესხიშვილი** — რეჟისორის თანაშემწე **გ. ურუშაძე.**

ს ა ხ ა ლ ხ ო ს ა ხ ლ ი

**კვირას, 28 თებერვალს**

სახალხო უნივერსიტეტის მოსწავლეთათვის გაიმართება

I

## სინემატოგრაფი გინეპენის

II

## კონცერტი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ. მანკევიჩი, მარკინა, ბბ. მაქსიმოვი, ბუნიმოვიჩი, ჯაბაური, მირუმიანი, პაპანაკოვი, ძმ. პალეცკები. — **დასაწყისი დილის 10 საათზე.**

ბილეთები იყიდება კასაში. ბილეთების ფასები 5 კაპ. 10 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა ორ-კვირეულ ჟურნალ ესპერანტოს ენაზე, სიტყვების და წინადადებების ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე განმარტებით

## „კავკასიის ესპერანტისტი"

ჟურნალის მიზანია ესპერანტოს ენის გავრცელება კავკასიის მცხოვრებთა შორის. სხვა და სხვა სტატიების გარდა ჟურნალში მოთავსებული იქნება სისტემატიური გაკვეთილები ესპერანტოს ენის შესასწავლად რუსულ, ქართულ და სომხურ ენების შემწეობით. ჟურნალში პასუხი მიეცემა ყოველ კითხვაზე ამ ენის შესახებ ხელის მომწერლებს.

ხელის მოწერა მიიღება: 1) მიხაილოვის პროსპ. № 98 ძმ. ჰაჯიევების მაღაზიაში, 2) პუშკინის პასაჟი, ს. სოლომონიანცის ცინკოგრაფიაში, 3) კვირაობით, 11—12 საათ. 1-ლ სავაჟო გიმნაზიაში.

**წელიწადში 1 მანეთი**

სხვა ქალაქებიდან: **Тифлисъ, Панасевича ул. № 1, Айку Тер-Аствацатрянцу.**

კბილის ექიმი

## რომანიშვილი—დგებუაძისა

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის.

პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და [illegible] ფელოვნური კბილების ჩასმა ყველ[illegible] [illegible]ვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავ[illegible] [illegible]ავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა № [illegible]

**ქართველთა გამომცემელ ამხანაგობის**

## „ცინკოგრაფია"

იღებს ყოველ-გვარ ზაკაზებს კლიშეებისა და ასრულებს სუფთათ თავის დროზე.

**ადრესი:** თფილისი, დიდი ვანქის ქუჩა, სახლი № 12 ზემო სართულში. (0—7)

## თფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამმხიარო განყოფილებით. ღია არის ყოველ დღე გარდა მხოლოდ ავათმყოფთათვის.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე გ. დ.** შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. 10½—11.

**გურკო გ. ა.** შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**ქიძოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბათობით 9—10 ს.

**კარშინი ა. ა.** კანისა და ვენ., ყოველ დღე, კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**მანსვეტოვი ვ. გ.** შინაგანი. ორშაბათ., ოთხშ. და პარ. 1—2 ს.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურგ. და დედაკ. ყოველ დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის. ორშაბათ. ოთხშ. და პარსკ. 2—2½ ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.

**პოპოვი ბ. ა.** ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—2½ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოველ დღე 9—10 ს,

**სოზოლევსკი გ. ვ.** ქირურგ. ყოველ დღე. 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიური და ბაქტეროლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. (100—87)

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და შეღავათიანი საფასურით.

## ვოგზლის კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695.

**ექ. ს. მაშაყმაძე** კბილის ავათმყ. ყოველ დღე 10—11 ს.

**ექ. ი. გომართელი** ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ დღე 11½—12½ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

**ექ. ბ. ა. პოპოვი:** ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

**ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი:** სამშაბათს ხუთ) და შაბათს 2—2½ ს.; თვალის ავათმყოფ.

**ექ. ე. გ. ფედოროვი:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით. (100—87)

გამოვიდა ახალი პაპიროსები

უმაღლესი ხარისხის და ნაზი სურნელებისა

## „ИВАНЪ ДА МАРЬЯ"

**25** ცალი **30** კაპ., **25** კაპ., **15** კაპ.

**10** ცალი **10** კაპეიკი და **6** კაპეიკი.

სავაჭრო სახლი

## ნ. ი. ბოზარჯიანცისა

შვ-თ. 0—6

ამით საყოველთაოთ ვაცხადებთ, რომ ყოვლად საუკეთესოთ და უტყუარათ ცნობილი

## პასხალიდის აბრეშუმის თესლი

როგორც გასულ წლებში, ისე წელსაც მინდობილი აქვს **გასასყიდათ ფაბრიკისავე დადგენილ ფასებში**

**მათე გაბრ—ს-ძე რუსიძის კანტორას**

**ქ. ბათუმში,** მარიინსკის პროსპ. სახ. **№ 10** (15—5)

**შენობა ბირჟისა „საზოგადო კლუბი"**

**ხუთშაბათს, 25 თებერვალს 1910 წ.**

ქართულისა და რუსული დრამის არტისტები გამართავენ:

**ლიტერატურულ-მუსიკალურ-საცეკვაო საღამოს**

I

ა. ი. მაღხაზოვი წაიკითხავს ლექციას

**„რომანტიზმი თანამედროვე ლიტერატურაში"**

(ახალი მიმდინარეობანი თანამედროვე ლიტერატურაში).

II

საკონცერტო განყოფილება

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი: სტოგინა, დავიდოვა, მარკინა და ბ-ნნი: ვართანოვი, კაევი, ურუშაძე, ივანიძე, ჩაროვი, ჯაბაური და სხვა.

III

## ცეკვა

(ევროპიული და კავკასიური)

ბილეთების ფასი: ქალებისათვის 50 კაპ. კაცებისათვის 1 მან.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

გამგე: **ვასო ურუშაძე.**

## პრესა

„თ. ფ." ქუთაისიდან დეპეშით ატყობინებენ:

გაიხსნა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სიეზდის სხდომები. სხვა მორიგ კითხვათა შორის შეტანილია წინადადება მესამე დუმის დეპუტატის ევ. გეგეჭკორის წოდებიდან გამორიცხვის შესახებ.

შარშანწინ, როგორც ვიცით, იგივე თავად-აზნაურობა წოდებიდან რიცხავდა დეპ. კარ. ჩხეიძეს. წინა წლებში კიდევ 1 და 2 დუმის დეპუტატებს გაკიცხვა გამოუცხადეს. ეხლა მხოლოდ დეპუტატი გეგეჭკორი იყო დარჩენილი და აი, მასაც რიცხავენ. აქ გასაკვირი არაფერია, რასაკვირველია. ასე მოექცენ რუსეთის „ზუბრები" პირველი დუმის დეპუტატ-აზნაურებს „ვიბორგის მოწოდებაზე" ხელის მოწერისათვის და ასევე იქცევიან ჩვენი „ზუბრებიც". ერთი მხრით რიცხავენ გეგეჭკორს, მეორე მხრით თავის წარმომადგენლათ სახ. საბჭოში ირჩევენ ანდრია ერისთავს, რომელიც მარკოვ-ტიმოშკინ-დურნოვს უმშვენებენ მხარს. ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა მხნეთ და მუყაითათ შეუდგა ეგზამენის დაჭერას კეთილ-საიმედოობაზე და კიდევაც სიმწიფის მოწმობა მიიღო რუსეთის ზუბრებ-შავრაზმელებისაგან, რაიც გამოიხატა, სხვათა შორის, ან. ერისთავის საბჭოში არჩევის დასტურით. რუსეთის შავრაზმელები ბრალს სდებდა ქართველ თავად-აზნაურობას მოძრაობაში მონაწილეობაზე და რომ ეს ბრალდება მოიხსნან და თავის მონათესავე „ზუბრებს" პირნათლათ ეჩვენონ,—ისინი რიცხავენ თავის წოდებიდან იმ პირს, რომლის თანამოაზრეებთან კავშირში მათ ბრალი ედებოდა მოძრაობის დროს. ეხლა კი „განწმენდილნი, განბანილნი ცოდვებისაგან", ცენზიანნი 50 **„ზუბრნი"** პირნათლათ წარსდგებიან შავრაზმელთა წინაშე და ისინიც, ეჭვი არაა, იმდენ სულგრძელობას მაინც გამოიჩენენ—შეუნდონ წინანდელი «შეცოდებანი" და მკერდში ჩაიკრან თავიანთი გზა-აბნეული მოძმენი.

აღარც ახლა დაიჯერებენ „ურწმუნოთაგანი", რომ ჩვენი ცენზიანნი „ზუბრნი" „ხორცი ხორცთაგანი", „სისხლი სისხლთაგანია" რუსეთის «ზუბრების» და რომ მათგან, თავის წარმომადგენლათ ან. ერისთავის არჩევა, სულაც არ არის გასაკვირი და მოულოდნელი!

ტყუილათ ხომ არ უთქვამთ: კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდებისო.

## სახელმწიფო დუმა.

(სააგ. დეპ.)

**23 თებერვალი.**

თავმჯდომარეობს თავ. ვოლკონსკი. დუმა ფეხზე ადგომით პატივსასცემს ახლად გარდაცვალებულ დუმის წევრს ვოლკონსკი პირველის ხსოვნას. ღებულობენ წინადადებას ამ კვირაში პარასკევამდე ყოველ-დღე მოახდინონ სხდომები. შემდეგ კოვალენკო პირველი მოხსენებას აკეთებს ფინანსთა სამინისტროს საზოგადო კანცელიარიის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ; უწყების მიერ გამოანგარიშებული **501,750** მ. კომისიას შეუმცირებია **9337** მანათით. დუმა ღებულობს ხარჯ აღრიცხვას კომისიის გამოანგარიშებით.

ეროპკინი მოხსენებას აკეთებს სახელმწიფო ხაზინის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ და აღნიშნავს, რომ დუმის სურვილში უწყებამ აასრულა ერთი რამ და ისიც უხეიროთ. სახელდობრ, გაყიდულია ვლადიკავკაზის გზის **4000** აქცია, რის გამო ხაზინამ ორი მილიონი მანათი ზარალი ნახა. გაყიდულ ქაღალდებს 20 პროცენტი სარგებლობა მოქონდათ, ეხლა კი პორტფელში დარჩენილი ქაღალდები ხუთ პრცენტსაც არ მისცემს, ქაღალდების უმრავლესობა კი არავითარ სარგებლობას არ იძლევა. შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საზღვარ გარეთელ ბანკირებთან მოთავსებულ თანხების პროცენტები დაეცა. აღნიშნავს, რომ რუსეთმა ოსმალეთ-ბულგარეთ შორის შუამდგომლობის გამო უნდა დაკარგოს 10 მილიონი იმ სამხედრო კონტრიბუციიდან, რომელიც ოსმალეთს უნდა გადაეხადა. ხაზინის მთელი ხარჯები უდრის **124,086,798** მ. ამ ფულებიდან ყველაზე მეტი პენსიებზე იხარჯება. მაგ. პრინცესა მიურატი იღებს **30** ათას მანათ პენსიას, გოფმეისტერი ისტომინი **12** ათასს. საჭიროა სახაზინო პალატების რეორგანიზაცია და საპენსიო წესდების ძირიანათ შეცვალა. **ფინანსთა მინისტრს** ვერ გაუგია რატომ სცნობს კომისია ხარჯთ-აღრიცხვას წესიერათ და მომხსენებელი კი სულ სხვას ლაპარაკობს. მინისტრს უკვირს რაღა საჭირო იყო მესამეჯერ მოეგონებიათ პრინცესა მიურატი, ისტომინი და სხვანი, როცა კომისია დარწმუნდა, რომ უწყებას არ შეეძლო არ გადაეღვა ეს ფულები. ვლადიკავკავის რკინის გზის აქციების გაყიდვის შესახებ მინისტრმა სთქვა, რომ თვით დუმის სურვილი იყო აქ ქონებოდათ სახელმწიფო ხაზინის დეპარტამენტის პორტფელებში პროცენტიანი ქაღალდები და იმიტომ გაყიდეს. ბელოუსოვი შენიშნავს, რომ მართლაც სახელმწიფო ხაზინის დეპარტამენტის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვით საქმე ისე ცუდათაც არ არის, როგორც შარშან იყო. აღსანიშნავია მხოლოდ დუმის ზოგიერთ წევრებისათვის პენსიის დანიშვნა ერთგულ სამსახურისთვის. დუმა ღებულობს კომისიის მიერ ნაანგარიშევ ხარჯ-აღრიცხვას.

შემდეგ კოვალენკო პირველი მოხსენებას აკეთებს უჭრავ ქონებაზე გადასახადების დეპარტამენტის ხარჯთ აღრიცხვის შესახებ. უწყებას გამოუანგარიშებია 14,427,993 მ. კომისიას შეუმცირებია 350,000 მანეთით. კენჭის ყრით დუმა ღებულობს ხარჯთ-აღრიცხვას კომისიის გამოანგარიშებით. თავმჯდომარის ადგილს იჭერს შიდლოვსკი. კოვალენკო პირველი მოხსენებას აკეთებს სახელმწიფო არაყზე გადასახადების მთავარსამმართველოს ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ. უწყებას გამოუანგარიშებია 220,151,277 მანეთი. კომისიას შეუმცირებია 7,087,637 მ. უმთავრესათ შემცირებულია „არაყის შემზადება და გადატანის“ ხარჯები 6,500,000 მანეთით. პრედკალნი აღნიშნავს, რომ ხარჯთ-აღრიცხვის უმეტესი ნაწილი მიდის არაყის მონოპოლიაზე, ამიტომ ს.-დემოკრატიული ფრაქცია ხარჯთ-აღრიცხვის წინააღმდეგ აძლევს ხმას. (მარცხნით ტაშისცემა) შემდეგი სხდომა ხვალ მოხდება.

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 თებერვალი

## ოსმალეთი

**სტამბოლი.** პალატის პირველ სხდომაზე, ახალ შენობაში, განიხილეს საკითხი მაკედონიაში ქრისტიანთ თემების დაესვის შახებ ეკკლესიების და სკოლების საკუთრების უფლებაზე. კანონი საზღვრავს ასეთებს ბერძნებისა და ბულგარელების შორის მაკედონიაში. ამ საკითხის განხილვას რამდენიმე სხდომას მოანდომებენ.

## საზღვარ-გარეთ

**პუენტაპიტრი.** ვიღაც უცნობმა მძიმეთ დასჭრა გვადელუპის ახალშენის გენერალური სეკრეტარი.

**პეკინი.** გაზეთები დალაი-ლამის გადაყენებას ნაციონალურ ხასიათს აძლევენ. მათი აზრით ჩინეთის მთავრობას უნდა გადააკეთოს ტიბეტი, როგორც სხვა პროვინციებია და ამით შემოუეროთოს ის იმპერიას. დალაი-ლამა მუდამ ამის წინააღმდეგი იყო. გაზეთებია პეტიციას ბეჭდვენ დალაი-ლამის სასარგებლოთ.

**ვენეცია.** ტარნოვსკაის ქალის საქმე. დილის სხდომაზე ნიუმოვმა განაცხადა, რომ როცა გაეცნო ტარნოვსკაის, მან არაფერი არ იცოდა მისი პრილიუკოვთან მოგზაურობის. კომაროვსკი მას თავის სასძლოს ეძახდა.

ტარნოვსკაია მის ხელზე აქრობდა პაპიროსებს, ხანჯლით ტუჩოკკას უკეთებდა ტანზე; ის სთხოვდა მას გაენთავისუფლებია ქმარისაგან, აქეზებდა დუელზე, შემდეგ სთხოვდა კომაროვსკის მოკვლა, იმ პირობით, რომ უკეთუ დაიჭერდენ მასზე არაფერი ეთქვა. მართლაც ნაუმოვმა მაშინ გასცა ტარნოვსკაია, როცა გამომძიებელმა შეატყობინა, რომ მკვლელობაში მონაწილენი აღმოაჩინეს. ჩვენების ჩამორთმევას განაგრძობენ. ნაუმოვი ამბობს, რომ მკვლელობის გეგმა ტარნოვსკაიამ შეადგინა. კითხულობენ ნაუმოვის წერილს ტარნოვსკაიასადმი, რომლითაც ის, მისი თხოვნით, მთელ დანაშაულობას თავის თავზე ღებულობს. პრეზიდენტის კითხვებზე ნაუმოვი ამბობს რომ სანამ ის ტარნოვსკაიას გაეცნო, მას საქმე ქონდა ქალებთან, მაგრამ ჭეშმარიტი სიყვარული არ გამოეცადა. და დაუმატა, რომ თუმცა არ უყვარდა ღვინო, მაგრამ მაინც სვამდა, რომ ჩაეყუჩებია მწუხარება. სხდომა დაიხურა.

**ბერლინი.** რეიხსტაგმა მიიღო საზღვაო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა. ს.-დემოკრატების რეზოლიუცია შეადგინონ კომისია სანახევრთო რეიხსტაგის წევრებისაგან, უარყოფილ იქნა.

## რუსეთი

**პეტერბურგი.** სახალხო განათლების სამინისტრომ დაამტკიცა სავაჟო და საქალებო გიმნაზიებში, პროგიმნაზიებში რეალურ სასწავლებლებში გადასასვლელ ეგზამენების წესები. ეგზამენები სავალდებულოა სამინისტროს მიერ აღნიშნულ საგნებში. გამოცდიან ყველა შეგირდებს აღნიშნულ სკოლისას, გარდა ისეთებისა, რომლებიც უნდა დასტოვონ. შეგირდებს, რომლებიც ვერ დაესწრებიან ეგზამენს საყურადღებო მიზეზების გამო, ნება ეძლევათ კანიკულების შემდეგ დაიჭირონ ეგზამენი. ასეთ შაგირდებს საოლქო მთავრობის ნებართვით უეგზამენოთ გადაიყვანენ, უკეთუ მთელი წლის განმავლობაში კარგათ სწავლობენ ყველა წინანდელი წესები ეგზამენების შესახებ გაუქმებულია.

**ჰელსინგფორსი.** სეიმის სტატნი კომისიაში აირჩიეს: სტაროფინი—4, მლადოფინი—3, შვედები—3, აგრარიები—2, ს.-დემოკრატი—9. ასევე არიან განაწილებული პარტიები სხვა კომისიებშიაც, კომისიების თავმჯდომარეებათ აირჩიეს 2 სტაროფინი, 5 შვედი ვიცეთავმჯდომარეებათ 3 ს.-დემოკრატი.

**კიევი.** გერმანოვსკის და ვასილკოვს შუა ორმა ბოროტმოქმედმა გაძარცვა ფოსტა. მოკლეს ფოსტალიონი, მეეტლე მძიმეთ დასჭრეს, გაიტაცეს 5,400 მანეთი და გაიქცნენ.

**ვოზნესენსკია.** ერთი კვირის განმავლობაში განუწყვეტელი ქარ-ბუქის გამო განადგურდა 40,000 დესიატინა ნათესი.

**მოსკოვი.** გუშინ უეცრათ გარდაიცვალა სახელმწიფო დუმის წევრი თავ. ნ. ს. ვოლკონსკი.

**პეტერბურგი.** სამოსამართლო პალატაში დაიწყო ბარეშკო-ბარეშკოვსკის და ჩაიკოვსკის საქმის განხილვა. სხდომა დახურულ კარებში ხდება. აბრალებენ საწინააღმდეგო საზოგადოების შედგენას, რომლის მიზანი იყო არსებულ წესწყობილების დანგრევა და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება.

# წერილები ლონდონიდან

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

დიდის მოუთმენლობით ელოდა ინგლისი და აქიდან მთელი ევროპა გასულ ორშაბათს, 21 თებერვალს ახ. სტილით. ამ დღეს უნდა წაეკითხა მეფეს თავისი სეფე-სიტყვა და მით ნათელ-ეყო ახალი პარლამენტის და მთავრობის კანონმდებლობითი ნაბიჯები სულ ახლო მომავალში.

მე ვერ ვიკისრებ, რასაკვირველია, ამ დღის გარეგნული ცერემონიების დაწვრილებით აღწერას. მათი წარმოდგენა შეუძლია მხოლოდ იმას, ვისაც შემთხვევა ჰქონია დასწრებოდა კათოლიკურ ქვეყნების ყეენობას. განსხვავება ისაა, რომ რაც სხვაგან სამასხროთ და გასართობათ ხდება, აქ მას შუბლზე დიდათ სერიოზული ნიშანი აზის! მზგავსი სერიოზული ყეენობა მოხდა ვენაში შარშანწინ, როცა მოხუც ფრანც-იოსების საიუბილეოთ ჰაბსბურგთა მთელი წინაპარნი მათი რაინდებით, ხუცებით, გლეხებით და კიდევ ვინ იცის რითი, მკვდრეთით აღადგინეს და იმ-დროინდელ ჩაფხუტ-ბჯრებით ქუჩა-ქუჩა დაატარებდენ. ამასთან შედარებით კი განსხვავება ისაა, რომ ვენაში ეგ მარტო **ერთხელ** მოხდა, აქ კი **ყოველ პარლამენტის** გახსნის ჟამს ხდება! წარმოიდგინეთ, სასახლიდან დაწყებული ვიდრე პარლამენტამდე ყველა ქუჩები გაჭედილი ხალხით. ამ ხალხს თითქმის იმდენივე ბალღები ყავს ბეჭებზე წამომჯდარი: მე აკი ვთქვი ერთხელ, რომ ბალღები აქაურ დიდ პროცესიების უცილობელი სტუმრები არიან! ხალხის წინ დარაზმულია ქვეითა და ცხენოსანი ჯარი, არა მეფის სიცოცხლის უზრუნველ საყოფელათ, რასაკვირველია, არამედ პარადისათვის. ჯარის-კაციც ხალხთან ერთათ ლაზღანდრობენ და დისციპლინის დიდი არაფერი ატყვიათ მაინდამაინც. არიან აგრეთვე უთვალავი პოლიციელნი, რომელნიც კიდევ უფრო ნაკლებ იმტვრევენ თავს პოლიტიკაზე... რას ვხედავთ შუა ქუჩაზე? უთვალავ ეტლებს და ავტომობილებს, რომელნიც მიაქანებენ ჰერცოგებს, გრაფებს, ლორდებს ძველებურ აჭრელებულ სამოსლებში. ერთხელ კიდევ დავინახე სიტის ლორდ-მეიორი თავის ძველებურ ეტლში და სხ. ჯერი მიდგა მეფე და მის ამალაზე ექვსი ბუზუმენტებიან ეტლებით და ერთფეროვან ბედაურებით. „გაბერილი ედუარდი“ თავის ცოლით სულ ოქრო-ვერცხლით მოქარგულ ეტლში ზის. უკანასკნელი დიდი ახმახი რამაა, არც რიზინა არც შინა, თითქმის მიჭრიალობს: უბია რვა ბედაური; ირგვლივ შემოკრებილია ქვეითა რაინდები შუბებით, ნაჯახებით და სხ. მეფის პარლამენტთან მიღწევაზე გავარდა ზარბაზანი 41-ჯერ ზედი-ზედ...

საკვირველია ერთი რამ: იქ, საცა მეფენი ჯერ კიდევ დიდ უფლება-მოვალეობით არიან აღჭურვილნი, ცერემონიებს უფრო ამდროული ხასიათი აქვთ; აქ კი, სადაც ედუარდი მხოლოდ „მეფობს და არა განაგებს“, საშუალ-საუკუნეთა „უიუით“ კითხულობს მთავრობისაგან ნაკარნახევ სეფე-სიტყვას! ესეც აქაურ ადათურ კონსტიტუციის თვისებაა.

მერე რა მოხდა ამდენ აურ-ზაურის შასი თვით პარლამენტში? რა და დიდი საჯაყი და აბდლური საქმე, წამოიახებდა ალბათ გურული. სეფე-სიტყვა ისე მოკლე იყო, რომ ხელის გულზეც კი მოთავსდებოდა. ეს კიდევ არაფერი,— ის სულაც არ შეეხო დღევანდელ მწვავე კითხვას, ან თუ შეეხო, ეს უფრო ამ კითხვის გადასაფუჩეჩებლათ. მან ხაზი გაუსვა ორ მუხლს: ორივე პალატის ურთიერთ დამოკიდებულებათა მოწესრიგებას და ფლოტის გადიდებას. შემდეგ პრემიერმა ასკვიტმა განმარტა ვითომ მეფის მიერ წაკითხული, და ნამდვილი მერილი სწორეთ ამ განმარტებაში იყო.

ასკვიტმა დაიწყო თავის საყვარელ „უიჩ-უიჩით“ (ქართულათ: რომელიც-რომელიც) და ლიბერალიზმის სრულიად გაკოტრებით დაათავა! „სამწუხარო გაუგებრობა“ მოხდა საზოგადოებაში, განაცხადა მან; მე, მართალია, ვთქვი არჩევნების წინ, რომ ჩემი მთავრობა **არას გზით არ იკისრებდა სახელმწიფოს სათავეში დგომას მომავალში, თუ მას წინდაწინვე არ ექნებოდა გადაჭრილი გარანტია ლორდთა პალატის „ვეტოს“ შესაზღუდველათ**, მაგრამ სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ეს გარანტია **მეფისაგან** მიმეღო, როგორც ეს იფიქრა საზოგადოებამ; სანამ „ვეტოს“ შესახებ ბილლი სათემო პალატაში არ გასულა, მანამ მეფისაგან გარანტიის მიღება არაკონსტიტუციური ნაბიჯი იქნებოდა და აბა, მე როგორ გადავდგამდი მას! მე უსათუოთ შემოვიტან ბილლს „ვეტოს“ შესახებ, ახლა კი რეზოლიუცია მივიღოთ ამაზე და ყველაზე წინ შარშანდელი და წრევანდელი ბიუჯეტები გავარჩიოთ... აი მოკლეთ ასკვიტის ქარაგმული აბდაუბდის დედა-აზრი.

მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ აქაური არჩევნები მხოლოდ და მარტო პარტიათა პლატფორმების ირგლივ ხდებიან. ლიბერალთა მხრით პლატფორმა წამოაყენა და ლოზუნგები გადისროლა მათმა ბელადმა [illegible] პრემიერმა ასკვიტმა. მან გამოაცხადა [illegible] სასიცოცხლო ომი ლორდთა „ვეტოს“, და თუ გამარჯვება ჩვენი იქნა, ამბობდა ის, მაშინ უგარანტიოთ შეუძლებელია მთავრობაში ჩვენი დარჩენაო. ეს მაშინაც, და მთელი ორ თვე შემდეგ, ასე ესმოდა მთელს ინგლისს და ევროპასაც, **განურჩევლათ პარტიათა.** ამას ღაღადებდენ ლიბერალები, ამას ეომებოდენ გაათრევულათ კონსერვატორნი, ამისთვის ეკედლებოდენ თავდადებით ლიბერალებს ლაბურისტები და ნაციონალისტები... და ყველა ეს მხოლოდ და მარტოთ „ნედორაზუმენიე“ ყოფილა! აღშფოთებული არიან თვით ლიბერალნიც არა იმიტომ—ვითომ ისინი ბელადზე უფრო გულადნი იყვნენ, არამედ—იმიტომ, რომ მათაც კი ვერ წარმოუდგენიათ ასეთი თავხედი სიცრუის წარბშეუხრელათ წამოროშვა. ასე წარმოიდგინეთ, ასკვიტმა მეტი ტაში კონსერვატორთაგან მიიღო პარლამენტში. შე ოჯახქორო, გულშემზარავათ შებღავიან ლიბერალნი ასკვიტს, რატომ აქამომდე, რატომ მაშინვე არ გაფანტე ეს „ნედორაზუმენიე“?!

მე „ენამ მიყივლა“ ჯერ კიდევ არჩევნების დამთავრებამდე, რომ ასკვიტი ძალიან საეჭვო კაცია-თქო; ალბათ, მკითხველს ახსოვს ეს. ის მეთაურობს მემარჯვენე ლიბერალებს, რომელნიც იმდენათ გაირჩევიან კონსერვატორთაგან, რამდენათაც ქლიავი მისივე ბურკისაგან. არჩევანები, როგორც ვიცით, ლიბერალების ძალზე მესუსტებით დამთავრდა; აქედან თუ ადრე მეთაურობდა მათში მემარცხენე ფრთა ლოიდ ჯორჯით, ახლა მეთაურობს მემარჯვენე ფრთა ასკვიტით. მემარჯვენენი კი სულით და გულით კონსერვატორებთან არიან, რასაკვირველია, ჯერ უჩინარათ; მასთან, ისინი სქელ-ჯიბიანები არიან და არჩევანების ვეება ხარჯსაც ისინი ეწევიან უმვრესათ. თუ გასული არჩევანები არ გამოდგა სახეირო, ახლა მით უფრო ერიდება ასკვიტი ახალ კრიზისს და არჩევნებს, მდიდრებმაც ჯიბე მაგრათ ამოაკერეს, ესაა მთელი ხათა!

მაგრამ ყველაზე უფრო მოტყუებული და დაბრიყვებული, რასაკვირველია, ნაციონალისტები და ლაბურისტები დარჩენ. მათი ბუკი-ნაღარა ლიბერალების სასარგებლოთ და საკუთარი პროგრამების საზიანოთ მათივე გასაპანღურებლათ გამოიყენა პრემიერ „უიჩ-უიჩმა“! მაგრამ ვის შეხვდება ბოლოს სიცილი?— აი კითხვა, რომლის გადაწყვეტა ისევ ხომ ნაციონალისტთაგან და ლაბურის-

# სახელმწიფო დუმა

## დეპუტატ ბელოუსოვის (ს.-დ.) სიტყვა ბიუჯეტის შესახებ.

(სტენოგრაფიული ანგარიშიდან)

(დასასრული)

საგულისხმიეროა, რომ ამ საკითხმა ამას წინათ ფინანსიურ კომისიაში დიდი კამათი გამოიწვია. იქ საკითხი ასე დაისვა: შესაძლებელია თუ არა გადასახადების გაღება გლეხებს თვითონ მივანდოთ? განა შესაძლოა იმედი ვიქონიოთ, რომ ისინი მოქალაქეობას გამოიჩენენ, რომ თავიანთ მოვალეობას სახელმწიფოს წინაშე პირნათლათ მოიხდიან, თუ საჭიროა მათ გარეშე ხელი მივუჩინოთ, რომელიც მუდამ მზათ იქნება ყელში სწვდეს მათ? როგორ ახდევინებენ გლეხებს დარჩენილ გადასახადებს და როგორ სჯიან მათ მოვალეობის შეუსრულებლობისათვის? რასაკვირველია, მათრახისა და კონდახების საშუალებით. მაგრამ, ვინ არ იცის, რომ დღეს გლეხი უკიდურეს ნივთიერ გაჭირვებას განიცდის! მაგალითისათვის მოვიყვან ორ-სამ ციფრს: 1898 წლ. თითო გლეხის სულზე მოდიოდა 8,47 ფ. მოხმარებული პური, 1909 წ.—7,72, 1908—7,19—ეს სიმპტომატიური მოვლენაა. ესევე უნდა ვსთქვათ, სხვა საბაზრო საქონლის შესახებაც—თუჯის, ტილოს და სხვ. მაგრამ არის ერთი საგანი, რომლის კურსიც, საბიროო ენით რომ ვსთქვათ, მაგრათ სდგას და დაწევის მიდრეკილება არ ემჩნევა—ეს არის ტყვია: 1900 წელს სულზე მოდიოდა—0,68 ფუთი, შემდეგ წლებში კი 0,88 ფ. ამ რიგათ აშკარაა, რომ ნამდვილი პურის მაგიერ გლეხებს ტყვიაპურით უმასპინძლდებიან (მარცხნიდან: მართალია!) აი დასკვნა, რომელიც ლოღიკურათ გამომდინარეობს თანამედროვე მდგომარეობიდან. აი, ფინანსთა სამინისტროს მდგომარეობაც. თუ ამ გარემოებას მხედველობაში იქონიებთ, ბიუჯეტის მომხიბლავი პერსპექტივებიც თავის ძალას დაჰკარგავს და შავი აჩრდილით დაიბურება; ის მყუდრო ნავთსადგურიც, რომელშიაც ფინანსთა მინისტრი მივიდა, მისი სიტყვების თანახმათ, მხოლოდ ორატორული მჭერმეტყველობის ნაყოფათ უნდა მივიჩნიოთ და არა სინამდვილეთ. შემოსავალ-გასავლის გათანასწორება აშკარა მაჩვენებელია იმისა, რომ ხალხის გაღატაკება უკიდურეს საზღვრამდეა მისული. გლეხების მასსის ასეთ მდგომარეობას სცნობენ ფინანსთა მინისტრი,—საბიუჯეტო კომისია, თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის დამცველნი და თვით მსხვილი მრეწველობის წარმომადგენელი ბურჟუაზიაც. აი, რას ამბობს მრეწველების ერთი ლიდერთაგანი კრესტოვნიკოვი: „მცხოვრებლებს არ შეუძლიათ თავი მოუყარონ იმ ქონებრივ საშუალებას, რომელიც აუცილებელი პირობაა თანდათანობითი მსვლელობისათვის კულტურის გზაზე“—ამას ვამბობთ არა ჩვენ, არამედ—კრესტოვნიკოვი. „ჩვენი აზრით,—ამბობს იგივე კრესტ.—დადგა დრო, როდესაც ძირიანათ უნდა შეიცვალოს სესხებისადმი დამოკიდებულება, სესხი უნდა მოხმარდეს მხოლოდ საწარმოო საჭიროებას“.

სესხის საჭიროებას აღნიშნავს საბიუჯეტო კომისიაც, მრეწველობაც, ლიბერალური პარტიებიც და სახელმწიფო ლიბერალი ფინანსისტებიც. მიუხედავათ იმისა, რომ სახელმწიფოს გარეშე მტრებისაგან არავითარი საფრთხე არ მოელის, სესხის საჭიროებაზე ლაპარაკობს ყველა. მაგრამ საკითხი ისაა, ნუ თუ მართლა ქვეყნის შინაური კეთილდღეობის გასაძლიერებლათ მოაქვთ ფულები საზღვარ-გარეთელ ბანკებიდან? ჩვენ სახელმწიფოს უკვე 10,000,000,000 მანეთი ვალი აქვს სესხათ აღებული, მე თქვენ გეკითხებით: რამდენი მოხმარდა ამ ათი მილიარდი მანეთიდან ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებას, რამდენი დაახარჯეს ამ ფულებიდან გლეხებისა და მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესობას? ძალიან ცოტა, ან სრულიად არაფერი. რუსეთის გაძაღლტყავებული გლეხობა—დამშეული, უმუშევრათ დარჩენილი მუშები საუკეთესო თავდებია ჩემი სიტყვების სიმართლისა. თანხები უსარგებლოთ იხარჯებოდა, ხმარდებოდა მილიტარიზმის გაძლიერებას, უანგარიშოთ იყრებოდა კეთილშობილ თავად-აზნაურობის გაუმაძღარ კუჭში, ეძლეოდათ ჯილდოთ მეფაბრიკეებს და მექარხნეებს, ამ ფულების სარგებელს კი ევროპის სახელმწიფოებში გზავნიდენ და ამ რიგათ იფლანგებოდა ქვეყნის სიმდიდრე და განადგურების გზაზე სწრაფათ ერეკებოდენ წინ ქვეყნის საწარმოვო ძალებს. ნუ თუ თქვენგანი ვინმე, რასაკვირველია, გარდა მემარჯვენეებისა, დარწმუნებულია იმაში, რომ ახალი სესხი მაინც მოხმარდება საწარმოვო ძალთა განვითარებას? ვისაც მემარჯვენეებსავით სახელმწიფოს დღევანდელი მესვეურნი ქვეყნის საწარმოვო ძალთა წარმომშობ წყაროთ არ მიაჩნიათ, ის დარწმუნებულია იმაში, რომ სესხი არ მოხმარდება ქვეყნის საწარმოვო ძალთა განვითარებას. შეგვიძლია ყველანი დარწმუნებული ვიყოთ, რომ გადასახადები მოიმატებენ, მაგრამ სად არის იმის გარანტია, რომ ეს მილიარდები ქვეყნის აუცილებელ საჭიროებას მოხმარდება და მოხელეების უძირო ჯიბეებში არ წავა. არის ერთათ ერთი საგულისხმიერო გამოკვლევა,—რომელსაც ბევრი თქვენგანი კარგათ იცნობს,—და მეც მოვიყვან მას, როგორც მაგალითს იმისას, თუ როგორ იხარჯება ნასესხები ფულები. ცნობილი ეკონომისტის გამოანგარიშებით რკინის გზას, რომელსაც ოფიციალური ცნობით 4 მილიარდი მანეთი დაახარჯეს, ნამდვილათ 3 მილიარდის მეტი არ მოხმარებია. სად გაქრა ერთი მილიარდი? ეს ყველასათვის საიდუმლოებით არის მოცული, მაგრამ იმავე დროს ყველასათვის აშკარაც. მე კიდევ ვკითხულობ, სად არის იმის გარანტია, რომ ახალი სესხი, ან სახელმწიფოს ახალი შემოსავალი 96 მუხლის განმარტების მსხვერპლი არ შეიქნება? არავის არ შეუძლია წინააღმდეგში იყოს დარწმუნებული, ესევე დაამოწმა საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემაც, რომელმაც განაცხადა, რომ სახ. დუმა იწონებს სამხედრო ხარჯებს და სამხედრო ხარჯებმაც მუდამ უნდა იმატონო. სხვაფრივ არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ საქმის მდგომარეობა. განა ცოტათი მაინც შეიცვალა უხსოვარი დროიდან შემოღებული წესები, განა ისინი, ვინც ქვეყანა ასეთ განადგურებამდე მიიყვანა, წავიდნენ თბილი საბუდრებიდან, განა მოისპენ მტაცებლები, ხაზინის მძარცველი ყაჩაღები? სრულებითაც არა. წაიკითხე თუნდა დღევანდელი შეკითხვა, რომელიც დეპუტატების ერთმა ნაწილმა შეიტანა სახ. დუმაში. საგულისხმიეროა ვიკითხოთ, რას გვიპასუხებს ამ შეკითხვაზე ფინანსთა მინისტრი, რომელიც სიხარულით გვისურათებდა ახალ ბიუჯეტს. ჩვენ მოვუსმინეთ. სენატორების რევიზია განა აშკარათ არ მოწმობს, რომ ძველი ჩვეულებანი, ძველი პირობები სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში ისევ მაგრათ არის გამეფებული. და განა მთავრობა პატივით ეპყრობა სახ. დუმას, ან პასუხის მგებელია მის წინაშე? განა 3 ივნისის კანონი საყოველთაო საარჩევნო უფლების კანონზე შეიცვალა? განა მთავრობის მზრუნველობაში აღზდილი აზნაურთა წოდება მოისპო, ან თანდაყოლილი უპირატესობანი მოესპოთ? არა, არც ეს ბრწყინვალე წოდება და არც მისი უპირატესობანი ჯერ არ მოსპობილა. განა სააზნაურო და საგლეხო ბანკები დაიხურენ ან შეიცვალენ? განა ალექსეევების და ბეზობრაზოვების ავანტიურა აღარ განმეორდება? შეიძლება ხმარებიდან გამოვიდა ფონდი, რომელიც მის იმპერატორობითი უდიდებულესობას მოხსენება ან შინაგან საქმეთა სამინისტროს და სხვა უწყებათა საიდუმლო ხარჯები? განა ქვეყანა ისე დამშვიდდა, რომ მთავრობის ზნეობრივი პრესტიჟი გამაგრდა, განა შინაური მტრების წინააღმდეგ სამხედრო გალაშქრება, დამსჯელი რაზმები საჭირო აღარ არიან?

არა. ამას წინათ ჩვენ სახ. დუმაში განვიხილეთ შეკითხვა ვიატკის დიდებული თავადის გორჩაკოვის შესახებ. განა რუსეთის პრესტიჟმა აიწია უცხო სახელმწიფოთა კონცერტში? არა, არ აუწევია, ისევ ძველს ადგილზე დარჩა. ეკონომიურათ ყველაზე სუსტი, ყველა სახელმწიფოებში კულტურულათ ჩამორჩენილი რუსეთი იძულებულია მილიტარიზმის გაძლიერებას მიმართოს თუ სურს, რომ მცირე

ტთაგან არის დამოკიდებული. მათ შეუძლიათ ყოველ წუთში პირ-გამტეხ სამინისტროს დაცემა და გაპანღურებაც! სწორეთ ახლა მეფისადმი საპასუხო ადრესზეა დებატები პარლამენტში და ვნახოთ საქმე რით გათავდება. კრიზისი მოსალოდნელია, მაგრამ არც ისე დაბეჯითებით შეიძლება მისი აუცილებლობის მტკიცება... ა. ჩ.

# ახალი ამბები

✦ **დეპ. გეგეჭკორს აზნაურთა წოდებიდან რიცხავენ.** ქუთაისში შესდგა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სიეზდი. სიეზდზე წინადადება წამოაყენეს დეპ. ევ. გეგეჭკორის აზნაურთა წოდებიდან გარიცხვის შესახებ.

✦ **ელექტრონის სადგურის გეგმა.** ინჟინერმა ნალბანდიანმა ქალაქის გამგეობას წარუდგინა ელექტრონის სადგურის პროექტი, რომელიც პროფესორ არტემიევს გადუცია განსახილველათ.

✦ **ქალაქის გამგეობამ** ფუნიკულერის გამგეობას განცხადება გაუგზავნა, რათა 1 მარტამდე ქალაქს გამგეობაში 2,800 მ. ვალი შემოიტანოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულობის დარღვევისათვის ქალაქის გამგეობა საჩივარს აღძრავს ფუნიკულერის წინააღმდეგ.

✦ **წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობის** სხდომა მოხდება დღეს 25 თებერვალს; განიხილავენ მორიგ საკითხებს.

✦ **ახალი კლუბის მდგომარეობა.** როგორც ვიცით წარსული წლის დეკემბერში თფილისში დაარსდა საზოგადოება „ახალი კლუბი". დამაარსებელთა პირველი კრება მოხდა დეკემბერშივე. კრებაზე მიღებულ იქნა 200 მეტი წევრი. შემდეგ ამისა კანდიდატებათ ჩაეწერა 300 წევრი; საწევრო ფული სულს 1,600 მ. შეგროვდა. ამ ჟამათ, ხსენებულ საზოგადოების მოქმედება შეჩერებულია, წევრებიც ნაკლებათ ეწერებიან. მიზეზათ იმას ასახელებენ, რომ თფილისის თავადაზნაურობას „ახალი კლუბისათვის" შენობის დათმობაზე უარი უთქვამს.

✦ **პასუხის შეკითხვაზე.** თფილისის ქალაქის გამგეობამ ეკატერინბურგის ქალაქის გამგეობას შემდეგი ცნობები წარუდგინა ქალაქის წყლის საყვანის შესახებ: წყლის საყვანის მოწყობილობანი და შენობები 7 ვერსტის მანძილზეა ქალაქზე დაშორებით. წყლის საყვანი აგებულია ქალაქის ხარჯით. წყლის საყვანიდან ქალაქს დღე და ღამეში მილიონამდე ვედრო წყალი ეძლევა. წყლის საყვანის საერთო სიგრძე 95 ვერსტს უდრის. ღირს სულ 2 მილიონი მან.

✦ **თფილისის ელექტრონის სადგური.** დღეს, 25 თებერვალს, მოხდება შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა, ხმოსნებისა და სატეხნიკო კომისიისა პროფესორ არტემიევის თანადასწრებით. სხდომის მიზანია განიხილოს ახალი ელექტრონის სადგურის ხარჯთ აღრიცხვა. სატეხნიკო კომისიის გამოანგარიშებით სადგური $^1/_2$ მილიონი მანეთი ეღირება. აქვე მოისმენენ პროფესორ არტემიევის მოხსენებას სადგურის შესახებ.

✦ **მოულოდნელი რევიზია.** ახალსენაკის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში მოულოდნელათ რევიზია მოახდინეს. კასის ფული 200 მ.-მდე გაფლანგული აღმოჩნდა, რომელიც მაშინვე შეავსეს. კანტორის უფროსს წინადადება მისცეს კანტორა თანაშემწეს გადასცეს.

✦ **შეერთებული სხდომა.** თფ. ქალაქის გამგეობამ საფინანსო კომისიასთან ერთად შეიმუშავა ინსტრუქცია $3^1/_2$ მილიონ მანეთის განაღდების შესახებ. ინსტრუქცია ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს გაუგზავნეს პეტერბურგში.

✦ **პედაგოგიური განყოფილება.** თფილისის საქალებო საეპარქიო სასწავლებლის მე-8 კლასში მომავალი სამოსწავლო წლიდან პედაგოგიური განყოფილება არსდება.

✦ **მიწების გაყიდვა და დასახლება.** ბაზალეთის ტბასთან, დუშეთის მაზრაში ყარანგოზიშვილებისაგან მოზრდილი ადგილი უყიდიათ რუსის გლეხებს. ამ ადგილზე რუსებმა დასახლება უკვე დაიწყეს. ჯერ-ჯერობით დასახლდა ათი გლეხი. მოელიან სხვებსაც. („დრ.")

✦ **ლექცია.** დღეს, 25 თებერვალს, «ბირჟის» შენობის დარბაზში, ა. მ. მალხაზოვი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: «რომანტიზმი თანამედროვე ლიტერატურაში».

✦ **ავლაბარში დღეს** გაიხსნება ახალი კლუბი.

✦ **ჩხრეკა და დაპატიმრება.** 21 თებერვალს პოლიციამ სხვადასხვა საპოლიციო უბნებში შეიპყრო 60 უპასპორტო და უსაქმო.

✦ **გადასახლებულნი შავი ზღვის ნაპირებზე.** მიწათ მოქმედების მთავარ სამმართველომ ზომები მიიღო დასახლოს შავი ზღვის ნაპირებზე რუსი მეთევზეები. ჩერნომორის გუბერნიაში ამ ჟამათ გადმოსახლებულია 42 გლეხის ოჯახი—სულ 241 გლეხი-მეთევზე.

## სამგლოვიარო წერილები.

ღრმა მწუხარებით დავსტირით ჯერ ახალგაზდა, ჭეშმარიტებისათვის მებრძოლ მუშაკის, სევასტი მურვანიძის ცხედარს. დაუვიწყარი იქნება ჩვენთვის მისი სახელი. ლ. ჩინჩაბაძე, ე. თალაკვაძე, ს. ქინქლაძე, გ. გაბრონიძე, კ. ნინიძე, ს. თავაძე, ს. პერტაია, ს. ბაქანიძე, სევე, ზ. დონაძე, ე. ბოლქვაძე.

— დიდათ დამამწუხრა ძვირფას მეგობრის, სევასტი მურვანიძის უდროვოთ გარდაცვალებამ. ყ. ლომინაძე.

## „მარცვალელთა" საპასუხოთ.

ჩემ შეკითხვას „მარცვალის" რედაქციისთვის საზოგადოთ და ბ. ლერასთვის კერძოთ დავთარი აუშლია. ერთ პწკარ პასუხთან ერთი ურემი ლანძღვა მოუყოლებიათ. უხერხულ მდგომარეობიდან გამოსასვლელათ ხრიკებს მიმართავენ: უნდათ მკითხველს დაუმტკიცონ, რომ ლალა უმეცარია, ლერა კი მეცნიერი; აქედან: უმეცარს როგორ დაეჯერება— მეცნიერს დამიჯერეთო.

ძველი ისტორიაა, უხეიროთ გადმოღებული.

გადავიდეთ კითხვაზე პირდაპირ. ბ. ლერა ამბობს, რომ მე ერთი-მეორეში ამირევია ორი «ნაჩალო». არ ვიცი, შეიძლება ასეც იყოს, ე. ი. ის სხვა «ნაჩალოს» გულისხმობდა და მე კი სხვა გავიგე, მაგრამ სხვანაირათ გაგება ძნელი იყო, რადგან მან მაზე გადააბა „დნევნიკი" და ტყუპათ ამოუყენა გვერდში მირზოევის „ეჟ. ობოზრ."-ს; პლეხანოვის „დნევნიკთან" გადაბმული კი სწორეთ ის „ნაჩალო" იყო, რომელიც მე გავიგე. დავუშვათ კიდევ მეტი: ვთქვათ, რომ ბ. ლერას სულ არ უხსენებია არც ერთი „ნაჩალო" და მარტო „დნევნიკი" მოუყვანა თფილისის წუმპეში, განა ეს სცვლის რაიმეს ფაქტიურათ? ნუ თუ „ქართველთა მეცნიერმა" ვერ გაიგონა ქართველებისაგან ანდაზა: „აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი ორივე ქურდებიაო"?

„დნევნიკის" მოყვანა მირზოევის კომპანიაში უპატიოსნობას გარდა უაზრობაც იყო: პლეხანოვი სწერს თავის საყვარელ თემაზე, ქადაგებს და იცავს სოციალიზმის იდეიას; ამისთანა ნაწერების გამოსაცემათ მას არ ჰყოფნის საშუალება; ამას ხედავს მეორე, მესამე და სხვა **სოციალდემოკრატები** და წინადადებას იძლევიან დაიხარჯოს ამაში მათი ფული. სიტყვა სოც. დემოკრატებს ხაზს ვუსვამ და ამით ვამბობ, რომ სანამ პროვოკატორების პროვოკატორობა არ გამომჟღავნებულა, ისინი სრულ უფლებიანი წევრებია სოც. დემოკრატიული ოჯახისა და ისეთივე უფლება-მოვალეობა აქვს სოც. დემოკრატიული ორგანოების წინაშე, როგორც პლეხანოვს. ამიტომაც აქ ბუნებრივი მოვლენაა: პლეხანოვს აქვს ტალანტი, იქსს ან იგრეკს კი საშუალება მოაქვს მისი ნაწერების გამოსაცემად, როგორც წევრს პარტიისას: სცემენ „დნევნიკს", რომლის მიმართულება სასტიკი სოციალისტურია: პროვოკატორს შეუძლია სხვა მხრით აზარალოს პარტიას, მაგრამ ვერას დროს გაზეთის მიმართულებას. ეს მას არც აინტერესებს. სულ სხვაა მირზოევის კომპანია: ის გაზეთს სცემს არა რაიმე იდეის გასავრცელებლათ, არამედ—იდეიასთან საბრძოლველათ და ამით ჯიბის გასავსებათ; ის ჩუმათ ფულებს იღებს იდეის მტრებისგან და აშკარათ კი გაზეთს პროგრესის მანტიაში ჰხვევს, რომ ქვენა მიზანს უფრო ადვილათ მიაღწიოს. გაითვალისწინე ეხლა, მკითხველო, ეს ორი—ერთი მეორეს მოწინააღმდეგე მოვლენა და ცხადათ დაინახავ, რომ მათი ერთი გოდრით დაგორება შესაძლებელია მხოლოდ „მარცვლელთა" მეცნიერთათვის. კიდევ მეტი: მირზოევის სიბინძურის გარჩევის დროს არაბუნებრივია „დნევნიკის" გახსენებაც კი. ის განგებ არის აქ მოყვანილი და ურიგობაც ამაში მდგომარეობს მაგრამ ამაზე ქვევით.

ბ. ლერა ხაზ-გასმით აცხადებს, რომ არავითარ შემწეობას გარედშიდან არ ღებულობს მისი გაზეთი. მართალია ეს? პირველათ ყოვლისა უნდა აღვნიშნო, რომ დღეს რუსეთის იმპერიაში იშვიათათ გამოდის და ვერც გამოვა გაზეთი (მით უმეტეს პროგრესიული) საკუთარი ხარჯით და სწორედ ამიტომ გვეჩვენა „მარცვალი"-ს ლექცია მორალზე უადგილოდ დღევანდელ პირობებში: პროგრესიული გაზეთი თითონ თავის ხარჯს ვერ ფარავს—თუ შემწეობას უარს ჰყოფს, უარს ამბობს თავის არსებობაზედაც. ანდა თუ არსებობს, უარს ვერ ჰყოფს შემწეობას. სულ სხვაა თუ ვინ უწევს დახმარებას—თანამოაზრეები, უბრალო ქველმოქმედნი თუ მოწინააღმდეგე კლასის წარმომადგენელნი. ასეთია მდგომარეობა და აქედან გამონაკლისს არც „მარცვალი" შეადგენს, რომელიც იბეჭდება შვიდიოდე ასეული და ისიც სრულიად ნაღდზე არ იყიდება. აქედან ბუნებრივი გახლავსთ, რომ მანუნდა მიიღოს ვისგანმე შემწეობა. ამის დასამტკიცებლათ მე შემეძლო მომეყვანა ახლოს მდგომარე პირთაგან გადმონაცემი, მაგრამ რომ ჭორიკანობა არ წამომძახონ, დავჯერდეთ იმას, რაც მე პირადათ მითხრეს: როდესაც „მარცვალის" ნებართვა აიღეს, ქართულ თეატრში შემხვდა ერთი უმთავრესი სულის ჩამდგმელი (ბ. ლერამ გამოიცნოს ეს პირი) და წინადადება მომცა მიმეღო მონაწილეობა „მარცვალში" რომელიც **წმინდა უპარტიო** იქნებაო. მე ვუთხარი, რომ გამოვიდეს ჯერ და ვნახავ, თუ რამდენათ შესძლებს უპარტიობას და შემდეგაც მოვესწრები თქო და თან დავუმატე: „თუ მანამ სული არ განუტევა თქო". შენი ფიქრით მთავრობა დაგვიკეტავს თუ რატომო—მკითხა მოსაუბრემ და მეც ვუთხარი, რომ გასაკვირალი არც ეგ იქნებათქო, მაგრამ თავი და თავი ფულია, გაზეთი აქ ცოტას შემოიტანს და რის იმედი გაქვსთ-თქო „ჩვენი ლიბერალებისო—იყო პასუხი და თან დაუმატა: „თუ არ შეგვიხუშტურდენ რომ მოვცხებთ ხოლმე გაზეთშიო."...

დღეს, ბ. ლერა ამ კითხვაზე ლაპარაკს გაზეთში პროვოკაციათ აცხადებს და სამართლიანადაც, მე ამაში სრულიად ვეთანხმები, ხოლო საჭიროა გავიგოთ: ვის წინაშეა პროვოკაცია და ვისგან. იმის გამომჟღავნება, რომ „დნევნიკს" პროვოკატორი სცემდა და „მარცვალს" ბობოლები უწევენ დახმარებას არის პროვოკაცია მთავრობის წინაშე? თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ არა: პირველი მთავრობამ ალბათ, უჩვენოდაც იცოდა და იცინოდა და მეორე კი, მის თვალში არ შეადგენს ცუდ რეპუტაციას. მაშ, ვის წინაშეა ეს კამათი პროვოკაცია? **ქართველი მუშების წინაშე.** ვინ გამოიწვია ეს პროვოკაცია? გაზ. „მარცვალმა" მეცნიერ ლერას ოქროს ტუჩებით. მე ზევით ვსთქვი, რომ პარალელი „დნევნიკისა" და „ეჟ. ობოზრ."-სი განგებაა და ნაძალადევიათქო. ბ. ლერამ ვერ შეამჩნია უაზრობა წინასწარი სურვილით: მას უნდოდა ეთქვა ქართველ მუშებისათვის: „გაიგეთ! ს. დ. ლიტერატურა, ეს პროვოკატორების გამოცემაა. ეს ისე არ აიღება ხელში საკითხავათ, როგორც „ეჟ. ობოზ." ბ. მირზოევისაო". ბ. ლერამ გააკეთა ეს პროვოკაცია და ამით ხელთათმანი გადისროლა მისდა უნებურათ. დღეს კი ნერვები ეშლება, რომ „ვიღაც ლალა" იძულებული გახდა აეღო ხელთათმანი, რომ თავისი წმინდათა წმინდის გასვრის ნება არავისათვის მიეცა. ან რატომ არ ფიქრობდა ბ. ლერა, რომ ეს ასე იქნებოდა? მან ხომ კარგად იცის, რომ ს. დ. ორგანოებს ქართველ მუშებში ათასობით ყავს თაყვანის მცემელნი და მე რომ არ დამეწერა ეს, უსათუოთ სხვა დასწერდა.

ბოლოს ბ. ლერა მეცნიერობიდან ფილოსოფოსობაზე გადადის და დინჯათ მირჩევს: „ასჯერ გაზომე, ერთხელ გასჭერი" თორემ რაც დასწერე, ნაჯახით ვეღარ ამოჩეხავო. „ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო", სწორეთ ამაზეა ნათქვამი: ბ. ლერა! მე ნაჯახით ამოსაჩეხი არაფერი არა მაქვს და ამიტომ არც მსურს მისი ამოჩეხა, ხოლო თქვენ კი გმართებსთ ეძიოთ ფილოსოფიური ნაჯახი. გული ნუ გაგიტყდებათ, იქნებ კიდეც აღმოაჩინოთ სადმე, ტყუილა ხომ არა ხართ მეცნიერ-ფილოსოფოსი!

დავშთები მეცნიერთა მაღმერთებელი

უმეცარი **ლალა.**

# უკანასკნელი ფოსტა

### სპარსეთი

**არეულობა სპარსეთში.** თეირანიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ შირაზში სრული ანარქია გამეფდაო. ხალხი აჯანყდა და კავამედ-დოულეს შვილის მეთაურობათ საომრათ ემზადებიან. კავამედ-დოულე რეაქციონერი იყო, რომელიც ორი წლის წინათ კონსტიტუციონალისტებმა სიკვდილით დასაჯეს. ახალი რეჟიმის მომხრეებმა ყველამ დასტოვეს შირაზი. გაზეთ „თფ. ლ." სიტყვით თავრიზში მშვიდობიანობაა. 19 თებერვალს თავრიზში მივიდა ბახტიარების რაზმი, რომელიც რამდენიმე ასეული კაცისაგან შესდგება.

### საფრანგეთი

**კლერიკალების ცემა.** საერო სკოლების გახსნის გამო ისპანიის კლერიკალებმა ბილბაოში დიდი მიტინგი გამართეს. კათოლიკე ხუცები და ბერები ტრიბუნაზე ავიდნენ და ხალხს ფანატიკური სიტყვებით მიმართეს. ხალხი ჯერ ისმენდა მშვიდობიანათ ბერების წკავ-წკავს, მაგრამ ბოლოს მოთმინება დაკარგეს, მივარდნენ ენა-წყლიან ორატორებს, ტრიბუნებიდან ჩამოათრიეს და ლაზათიანათ მიბეგვეს. რამდენიმე კლერიკალი მძიმეთ ნაცემი აღმოჩნდა. ამის შემდეგ ვალენსიაში გამართა მეორე მიტინგი საერო სკოლების თანამგრძნობთა ხელმძღვანელობით. ორატორებმა აღნიშნეს, რომ ისპანიას განაგებს 100,000 ბერი და ქვეყნის დასახსნელათ საჭიროა სარწმუნოებრივი ორგანიზაციების დახურვა, ბერების საზოგადოებათა განდევნა და ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფა.

**ქალაქი თოვლის ზვავ ქვეშ.** იდახოს შტატში (ამერიკაში) დიდი უბედურობა მოხდა. დიდი ქარ ბუქის შემდეგ მახლობელი მთიდან დიდი თოვლის ზვავი წამოვიდა და ქვეშ მოიყოლა მთელი ქალაქი—პასე, რომელიც სრულიად მოსპობილათ უნდა ჩაითვალოს. მთის ძირში გამართულ სატუსაღოში ცხოვრობდა 300 სამთამადნო მუშა, რომელნიც ამ საშინელი კატასტროფის პირველი მსხვერპლი შეიქნენ. ზვავი წამოვიდა ღამით, როდესაც მთელ ქალაქის მცხოვრებლებს ეძინათ. დიდ-ძალი ხალხი დაიღუპა.

**მიტინგები პრუსიაში.** შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით მთელ პრუსიაში სასტიკათ აკრძალულია დია ცას ქვეშ მიტინგების გამართვა. მიუხედავათ ამისა, კასელში სოც.-დემოკრატებმა და ნაც.-ლიბერალებმა დიდი მიტინგი გამართეს. ბერლინში დამცველ პოლიციელთა რაზმები გააძლიერეს, რადგან ახალი დემონსტრაციების გამართვას მოელიან. მეფის სასახლეს ჯარი იცავს.

### რუსეთი

**მოსამსახურე ქალი—დეპუტატი.** უფიდი მზარეული ქალი მინა სილანპაა, რომელიც ამ ჟამათ ფინლიანდიის სეიმშია დეპუტატათ არჩეული, ძალიან აინტერესებს ფინლიანდიის საზოგადოებას.

მინა სილანპაა არის ღარიბი კაცის შვილი. პატარაობისას მუშაობდა სართავ ქარხანაში, შემდეგ მოსამსახურეთ იყო გელსინგფორსში. ამჟამათ კი მინა ამავე ქალაქიდან დეპუტ. არის არჩეული და გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეებს უდგია გვერდში. დეპუტატი განაგებს მოსამსახურეთა დამქირავებელ კანტორას და ძალიან ხელ-ვიწროთ ცხოვრობს. ის ამ ჟამათ 44 წლისაა, თუმცა ახალგაზდის შეხედულობა აქვს.

მინა სალანპაა ღიმილით იხსენიებს გელსინგფორსის ქალებს, რომლებიც ვერა-გზით ვერ შერიგებიან მის დეპუტატობას და კბილების ღრჭენით ამბობენ: „ის ხომ ჩემი ნაცნობის მოსამსახურეთ იყო. ვინ გაიგონა მისი დეპუტატობა? ის ხომ მზარეული ქალია?"

**ფინლიანდიის სეიმში** გაზ. „რ. ს." კორესპონდენტს უსაუბრია ერთ დეპუტატ ქალთან, რომელსაც გამოჩენილი ადგილი უჭირავს სოციალდემოკრატიულ პარტიაში. დეპუტატს უთქვამს: „სეიმის მახლობელი მიზანია აღნიშნოს თანამედროვე არა-ნორმალური მდგომარეობა და სენატის უკანონო შედგენილობა სეიმში შეტანილი იქნება შეკითხვა სენატის მოქმედების შესახებ. გარდა ამისა სეიმმა, უნდა შეიმუშავოს კანონ-პროექტი მოხუცებული მუშების დაზღვევის შესახებ, გაუთხოვარი ქალების ორსულობის დროს დაზღვევის შესახებ, საგალდებულო სწავლის შესახებ და მუშათა დაზღვევის შესახებ უმუშევრობის დროს.

რაც შეეხება საზოგადო-სახელმწიფოებრივ კანონმდებლობას, ამის შესახებ ორი აზრი არ შეიძლება იყოს. ასეთი კანონმდებლობა შესაძლებელია მხოლოდ ფინლიანდიის ძირითადი კანონების დაცვით. ეს-კი ჩვენზე არ არის დამოკიდებული, არამედ—მათზე, ვის ხელშიაც ძალა-უფლებაა. ჩვენ კონფლიქტი არ დაგვიწყია და ვერც დავაცხრობთ მას".

# პროვინცია

**ბათომი.** ბათომის მუშათა მდგომარეობა დღით-დღე უარესდება. არც ერთი მუშა არ არის დარწმუნებული, რომ დღეს მუშაობს და ხვალ ქუჩაში არ გამოისვრიან, რაიმე მიზეზით თუ უმიზეზოთ, რის მაგალითი აქ არა ერთხელ და ორხელ უნახავს. მაგალითად, ამას წინათ რილსკის ნავთის გადმოსასხმელ სადგურიდან 8 მუშა დაითხოვეს, რადგან ბოჭკებით ნავთის გზავნა შეაჩერეს. ამათში მხოლოდ მუშაობდა ბოჭკებზე, დანარჩენი ორი მუშა კი ტყუილ-უბრალოთ, გამოაგდეს ამათ და მათ ადგილზე სხვა მიიღეს, რადგან

მნიშვნელობა მაინც შეინარჩუნოს საერთა-შორისო პოლიტიკაში. როგორც საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, სამხედრო ხარჯები მუდმივ ზრდაში იქნება და რა დანიშნულებაც არ უნდა მივსცეთ ქაღალდზე სესხათ აღებულ ფულებს, ეს ფულები მაინც ჯარებს და სამხედრო იარაღებს მოხმარდება. მართალია, ბატონ-ყმური წეს წყობილება დღითი-დღე იშლება, მაგრამ ის მაინც მოითხოვს თავის დროებითი არსებობისათვის სახსარს და ეს ხარჯები კი ძალიან დიდია, რადგან დიდია თვით სახელმწიფოც და მრავალ-რიცხოვანია მუქთა-ხოროების რაზმი. განა ასეთ პირობებში შეიძლება სახალხო სიმდიდრის დაგროვების შესახებ ლაპარაკი? განა აქ დასახელებულ მაგალითებს შემდეგ სანუგეშო რჩება რამე ახალ ბიუჯეტში?

მრეწველობის აყვავებაზე და ხალხის კეთილდღეობაზე ლაპარაკი ფინანსთა მინისტრის მხრით მხოლოდ ხალხის თვალების ახვევა იყო.

ასეთია სასოფლო სამეურნეო ცხოვრება, რომელსაც დღეს რუსეთი განიცდის. სად არის გამოსასვლელი?

გამოსასვლელ გზას ზოგიერთები ხედავენ სამრეწველო ბურჟუაზიის გაძლიერებაში. აწყობენ ბიუჯეტის გამაუმჯობესებელ საზოგადოებას, იმედი აქვთ გაძლიერებული ბიუჯეტის, ხარჯ-აღრიცხვის მოხერხებულათ შედგენის, იმედი აქვთ აგრეთვე კვადრატების (ოთხკუთხედების), ცნობილი კვადრატების, რომელიც 9 ნოემბრის კანონით შემოიღეს; გარდა ამისა, იმედი აქვთ ხაზინის შემოსავლის ფრთხილათ დახარჯვის, მაგრამ ყოველივე ეს საკმარისი საშუალება არ არის, ქვეყნის მდგომარეობა უმწეო...

ლი გალატაკება ან გადაგვარება. შიმშილით ან ხიშტით სიკვდილი ორივე ერთი ღირსებისაა. დგება უკანასკნელათ ის დრო, როდესაც ხალხმა უნდა შეიგნოს და გადასწყვიტოს: უნდა დაიცვას მან ეს ძველი წესები, გულ-გრილათ უნდა მოეკიდოს თავის მონურ მდგომარეობას, თუ რაიმე გამოსავალი გზა უნდა მონახოს ამ მდგომარეობიდან. მე ვიმეორებ, რუსეთში არის შიმშილი, მეფე-შიმშილათ წოდებული. არის ხალხში შემოქმედებითი ძალა, არის შურის ძიების ნიშნებიც. ყველაფერს აქვს საზღვარი, მონურ მოთმინებასაც, ანგელოზის სულ გრძელობასაც აქვს თავისი ბოლო. ფინანსთა მინისტრი ხშირათ მიმართავს ღმერთს; პირველ და მეორე დუმაში ის ხშირათ იმეორებდა და მესამე დუმაშიაც იმეორებს: „თუ ღმერთი ხალხს მცირე შემსუბუქებას მაინც მიანიჭებს, მაშინ საქმეებიც ცოტათ-თუ ბევრათ მოწესრიგდებიან". მაგრამ ხალხმა მეორე თქმულებაც იცის, რომელიც ამბობს: „ღვთის იმედი ქონდეს და თვითონაც გულ-ხელ დაკრეფილი ნუ იქნებიო".

ეს ხალხის თქმულება ჭეშმარიტებას შეიცავს; ჩვენ ვფიქრობთ, რომ ადრე თუ გვიან ხალხი თითონ აიღებს თავის საქმეს ხელში. ვისაც ქვეყნისათვის კეთილი სურს, ის, რასაკვირველია, კენჭის მიცემით არ დააკანონებს უპასუხისმგებლო მთავრობის შეცდომებს; ის არ შეეცდება გაპერილი ბალანსებით და ცრუ პერსპექტივებით დააბნელოს ხალხის თვითშეგნება.

ის იტყვის: „ჩვენ უნდობლობას ვუცხადებთ ძველ მთავრობას". ის, მის მაგივრათ, რომ ორმილიარდიანი ბიუჯეტი დაამტკიცოს ჩვენთან ერთათ იტყვის: „მოგვცილდით, გასწმინდეთ ადგილები იმ პირთათვის, რომელნიც ხალხის ნდობით იქნებიან აღჭურვილნი". (მარცხნით ტაშის ცემა).

ეს მხოლოდ სადგურის გამგის სურვილი იყო. ასევე მოიქცა სიდერიდის ქარხნის ადმინისტრაცია: ჯერ 90 მუშა დაითხოვეს, 110 მუშას ქირა შესამჩნევათ შეუმცირეს ამასაც არ დასჯერდა და მედროგეებს თითო შაური «კანეცის» ქირა დაუკლო. მედროგეები ამაზე არ დასთანხმდენ, რადგან ქალაქის საბჭოს მიერ მედროგეებზე „კანეცის" ქირა 50 კ. უთუოდ დადგენილი. მედროგეები გაიფიცენ და თან წარუდგინეს მოთხოვნები. ოთხი დღის გაფიცვის შემდეგ მოხდა შერიგება შემდეგი პირობებით: დარჩეს „კანეცის" ფული უწინდებურათ 35 კ. ქარხნის ხარჯზე იყოს ცხენებისთვის წყალი (აქამდე კი 40 კ. იხდიდენ თითო ცხენზე წყლის ფულს), იაშიკების „კლეტკები", საწვიმარი ბრეზენტები, ექიმი და წამლობა (ამდენხანს ყველა ეს მედროგეებს თავის ხარჯით ქონდათ). ახლა კი სიდერიდის ქარხნის ადმინისტრაცია დათხოვნილი მუშების მაგიერ ახლებს იყვანს, არა უწინ მასთან ნამუშევთაგან, არამედ სულ უცხო ხამ-გამოუცდელ მუშებისაგან, რომლებსაც, რა თქმა უნდა, გასაუგლეფავათ იოლათ დაიყოლიებს და მასაც ეს უნდა საზოგადოთ, გასაკვირიც რომ არ იყოს, სამწუხაროა აქაურ დამქირავებელთა სულისკვეთება. მიუხედავათ იმისა, რომ კარგა ხანია საქვეყნოთ დამტკიცდა, ბათომში ქარხნების დაკეტვაში მუშებს არავითარი წილი არ უძევთ და ქარხნები დაიკეტა სულ სხვა მიზეზების გამო, მარა ისინი მაინც გაურბიან ქარხანაში ნამუშავარ მუშებს და ნამეტურ კი ქართველებს, რადგან ისინი მიაჩნიათ ვითომდა წარმოების მტრათ, რომლებიც მხოლოდ იმიტომ ეძებენ ქარხნებში ადგილს, რომ წარმოება შეაფერხონ.

ეგრეთ წოდებულ „ნაპირის" მუშებზე კი ლაპარაკი მეტია. ისინი ხაზეინებთან ერთათ ებრძვიან უმუშავართ. მოხდება ხანდახან, როდესაც რომელიმე მექარხნეს გემი მოუვლის, ეჩქარება დატვირთვა და გარეშე მუშებსაც იხმარიებს. ერთხელ კი, როცა ხაჩატუროვის გემი უნდა დაეტვირთათ, ზოგიერთი უმუშევრები ბედის საცდელათ ჩვეულებრივათ გავიდენ, მარა იქ ხვდება ბათომში კარგათ ცნობილი ანდრია ბერიძე თავის მომხრეებით და დანძღვით და ცემა-ტყეპით ისტუმრებენ ლუკმა-პურის საშოვნელათ გამოსულ უმუშევრებს. ასეთმა მხეცურმა საქციელმა ორივე მხარე მეტათ აადელვა და მოსალოდნელი იყო საქმის გართულება, რომ უფრო წინდახედულნი არ ჩარეოდენ შიგ და მშვიდობიანათ არ გაეთავებინათ.

როგორც ამბობენ, აქაურმა მექარხნემ კაპლანამ უკვე დაამთავრა ახალი ქარხნის მოწყობა და ახლო ხანში დაიწყებს მუშაობასო. სულ საჭირო იქნება 40—40 კაცი.

დოსტი.

—

**ჭიათურის რაიონი.** შორაპნის მაზრის დამშევა თვით მთავრობის პირით აღიარებული ფაქტია. შიმშილობა სოფლათ უკვე დაწყებულია. ბევრსაც მალე ეწვევა, მარა ამისათვის ჯერ თავს არავინ იწუხებს. საშინელი მდგომარეობაა და ხმას კი არავინ იღებს, ყველა თავჩაქინდრულია და თავის თავზე ზრუნავს. რომ მკითხველმა ჩვენი ნათქვამი ლიტონ სიტყვებათ არ მიიღოს, დავამტკიცებთ მაგალითით: ჩვენ გამოვიკვლიეთ ს. შუქრუთის დღევანდელი მდგომარეობა მოსავლის მხრივ და შემდეგი აღმოჩნდა: სულ ამ სოფელში 180 მეკომურია. აქედან 74 (ან ყველა მცხოვრებთა 41 ერთი მეცხრედი პროც.) უკვე ყიდულობს სიმინდს, ზოგმა ადრე დაიწყო ყიდვა და ზოგმა გვიან. 51 (ან 28 სამი მეცხრედი პროც.) მოსავალი წ. ბოლომდის არ ეყოფა და უნდა იყიდოს, რასაკვირველია, რომ ზოგს ამათგანს მალე დაულევა და ზოგს კიდევ შედარებით გვიან. მოსავალი ეყოფის მხოლოდ 55 მეკომურს (ან 30 პრ.) ამ ციფრებიდან ნათლათ სჩანს, რომ მცხოვრებთა ორ მესამედს (125 მეკ. ანუ 69 პრ.) საყოფი სარჩო არ მოსვლია და სამში ორი მოსახლე მშიერია, ან კიდევ ასეთი მდგომარეობა მთელის ახლო მომავალში. ამავე სოფელში ამ მოკლე ხანში 58 ოჯახში (ან 32 ორი მეცხრედი პროც.) სახდი იყო და ბევრი ოჯახი აატირა და ააფორიაქა *). ასე რომ, თითქმის მთელი სოფელი გაჩანაგებულია: მოუსავლობა, ავათმყოფობა და ათასნაირი გადასახადები. დაახლოვებით ასეთივე მდგომარეობაა სხვა სოფლებშიაც: პერევისი, ითხვისი, რგანი, მდვიმევი, მერევი და სხვა.

მა—ლი.

—

**ხ. მარტვილი** (სამეგრელო). 11 თებერვალს ადგილობრივ ბოქაულის თანდასწრებით მოხდა საზოგადოების ყრილობა. უნდა ურჩიათ მამასახლისი. პირველათ აქა იქ, დაასახელეს ივანე გვეგვეცია, შემდეგ კი ნესტორ ხვინგია—კაცი ფრიად პატიოსანი. წამოაყენეს თუ არა ხვინგიას კანდიდატურა, ხალხმა ერთხმათ იგრიალა: „ხვინგია გვინდა მამასახლისათ, ხვინგიაო", თითქმის კენჭის ყრაზედაც უარს ლაპარაკობდენ, მაგრამ რადგანაც სხვა კანდიდატებიც იყვნენ დასახელებულნი, ბოქაულმა მოითხოვა კენჭის ყრა, ყუთები დაუდგეს: გვეგვეციას, ხვინგიას, ხარებავას და უთუოდ მამასახლისს ბ. გაბისონიას, უკანასკნელმა თავისი კანდიდატურა თვითონ წამოაყენა. დაიწყო კენჭის ყრა. ყუთებთან ორი არჩეული კაცი, ბოქაული და დარაჯები უყვენ. დამთავრდა კენჭის ყრა. ბოქაულმა ყუთები ოთახიდან გარეთ გამოიტანა. კენჭების დათვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ გვეგვეციას მიელო 254, ხვინგიას 128, ხარებავას 119 და გაბისონიას 11, ეს უკანასკნელი ღირსეულად დააფასა საზოგადოებამ. არჩევნებით ხალხი გაოცებული დარჩა. „ჩვენ ხვინგიას მივეცით ხმა და როგორ მოხდა ეს, რომ გვეგვეცია გამოდგა არჩეულიო", გაიძახოდა უკმაყოფილოთ ხალხის დიდი უმრავლესობა. გადასწყვიტეს განასაჩივრონ არჩევნები.

— 12 თებერვალს ბანძის საბოქაულოში, აბაშის პირათ, დაატუსაღეს ორი გამოჩენილი ყაჩაღი ქიქავა და ჩარკვიანი, პირველი დასჭრეს მკერდში სასიკვდილოთ, რადგანაც გაქცევა დააპირა. დატუსაღებულები გამოტყდენ, რომ მათ მიიღეს მონაწილეობა ბამბუას ხიდზე დუქნების გაძარცვაში, დადიშკელიანის მკვლელობაში ქუთაისში უჩა დადიანის წაქეზებით და ბანძის აფთიაქის გაძარცვაში.

*) ყველა ეს ცნობები შეკრებილია თებერვლის პირველ ნახევარში. ავტ.

## მუშათა შორის

**ნიგვზის ხეებზე მომუშავე მუშები.** დიდი ხანია რაც ფოთში მოაქვთ ნიგვზის ხეები სოხუმის ოლქიდან, აფხაზეთიდან, სამეგრელოდან და გურიიდან. აქედან გემებით გზავნიან საზღვარ-გარეთ. უმთავრესი მყიდველი ნიგვზის ხეებისა არის ბ-ნი გარნერი, რომელსაც ფოთში გამგეთ ყავს პოვონი. ხსენებულ სამუშაოზე 10 წელია რაც განუწყვეტლივ მუშაობს 12 მუშა. მართალია ხსენებული სამუშაო სისტემატიური არაა და ფაქტიურათ ის სწარმოებს მხოლოდ 3 ნახ. თვე წელიწადში, მაგრამ ასეა თუ ისე, გაჭირვებით მაინც შოულობდენ ხსენებული მუშები პურის ფულს. 1905 წლამდის ხსენებულ სამუშაოზე მუშაობა (სანდლებიდან კუნძების ამოცლა, გადაწონვა და შემდეგ გემებში ჩაცლა) სწარმოებდა აკორდათ, მხოლოდ გემებში ჩაცლაში მუშები დღიურ ქირას ღებულობდენ 1 მ. ნახ. 1905 წლიდან ხსენებულ მუშებში მყარდება შემდეგი პირობები მუშაობისა: ნიგვზის კუნძებს სწონიან და მუშებს ფუთობით აძლევენ ამოსაცალ და დასატვირთ ქირას, ფუთზე 25 კ., სანდლებიდან ამოცლა და გადაწონვაში გარნერი აძლევდა მუშებს 2 კ. გემში ჩასატვირთს ფუთზე კიდევ 2 კ. ამ პირობებით ხსენებული მუშები კმაყოფილი იყვნენ და ეს მინიმალური ხელფასი თუ შეიცვლებოდა, მათ ვერ წარმოედგინათ, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ბ-ნ ი. ფ. პოვონმა, როგორც ხორცშესხმულმა წარმომადგენელმა სხვა და სხვა საწარმოვო ფირმათა, ანგარიში გაუწია დროს ნაკარნახევს და მდგომარე წლის იანვარში გამოუცხადა მუშებს, რომ მან უნდა შესცვალოს არსებული პირობები. ეს მოთხოვნა იანვარში კიდევ არ უთუოდ კატეგორიული, მაგრამ ეხლა თავისი მოთხოვნილება ბ. პოვონმა კატეგორიულათ წამოაყენა და განაცხადა, რომ თუ თანახმა იქნებიან ისინი, უნდა ამოსცალონ და ტვირთონ ფუთი 1 ნახ. კაპ. წინააღმდეგ შემთხვევაში ბათუმიდან ჩამოვიყვან მუშებს და თქვენ გაგრეკავთო. ბ-ნ პოვონს (ის პანსიას ფირმის წარმომადგენელია მარგანეცის წარმოებაში) თავისი სუსხი არა ერთხელ უჩვენებია მარგანეცის მუშებისათვის. ბ. პოვონი უკლებს მუშებს არა იმიტომ, რომ იკლო ნიგვზის ხის გაზიდვამ ან ფასმა მასზე, არამედ იმიტომ, რომ მან მშვენიერათ გაიგო მუშათა დღევანდელი მდგომარეობა და დროით სარგებლობს.

ვალია.

## უცხოეთი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

**ომის მოლოდინში.**

ამ ბოლო ხანებში გაზეთებმა ერთობ მოუხშირეს წერას ოსმალეთსა და ბოლგარეთს შორის მოსალოდნელი ომის შესახებ. თუ როგორის თვალით უცქერიან ამ საკითხს ოსმალეთში, ამის დასახასიათებლათ შეიძლება ჩაითვალოს ახალგაზრდა ოსმალთა პარტიის ორგანო—„ახალ ტანინში" მოთავსებული წერილი, ვინაიდან, როგორც შინაურის, ისე გარეშე კრიზისის გადაწყვეტა ოსმალეთში ამ ერთად ერთ პოლიტიკურ პარტიას (ახალგაზრდა ოსმალოი) ადევთ კისრათ.

გაზეთი კითხვას სვამს თუ როდის დაიწყება ომი ბოლგარიასთან და თან დასძენს, რომ ასეთი კითხვა ჩვენზე წინ თვით ბოლგარეთის პრესამ წამოაყენა— ის ყოველ დღე ჰკიცხავდა და ჰკიცხავს თავის მთავრობას, რომ მან ბევრჯერ დაჰკარგა ხელსაყრელი პირობები, როცა შეიძლებოდა ოსმალეთთან ომის გამოცხადებაო. ახალგაზრდა ოსმალთა გაზეთის აზრით ბოლგარიის პრესის უმეტესობა ოსმალეთს მტრულის თვალით უცქერის. ამას გარდა, იმართება ურიცხვი მიტინგები, სადაც ორატორები მოითხოვენ ომის გამოცხადებას. სოფიაში გამართულ სიეზდებზედაც გამოიტანეს რეზოლიუციები, რომლითაც მოითხოვენ გადამწყვეტ ბრძოლას; ჰკიცხავენ მთავრობას საქმის დაყოვნებისათვის და სხვ., ყველა ეს რეზოლიუციები თუმცა საიდუმლოთ მიიღეს, მარა ახლანდელ პირობებში არაფერი აღარ შეიძლება შენახულ იქნას საიდუმლოთ; ოსმალეთში ყველაფერი იციან, რაც ბოლგარეთში ხდება. სასაცილო იქნებოდა, რომ ვინმეს ეფიქრა, თითქო ოსმალეთს სძინავს, როცა მის თავზე ხმალი ტრიალებს. ჩვენი მეზობლების ბრძოლის ყიჟინა მკვდრებსაც კი გამოაღვიძებდა. ჩვენ არ გვესმის თუ რა სურთ ჩვენგან ბოლგარელებს. ჩვენი კორესპონდენტები სოფიიდან დიდი ხანია გვატყობინებენ, რომ ოსმალეთთან მტრულ განწყობილებაში მყოფი პარტიები შინაგან საქმეებში ვნებათა ღელვის გაღვივების გარდა ოსმალეთს ცილსა სწამებენო. სამწუხაროა, რომ ბოლგარეთი, რომელიც დიდი ხანი არაა, რაც ჩვენ სახელმწიფოსთან ხელშეკრულობის დადებით გვაიმედებდა მშვიდობიანობისა და მეგობრობის შესახებ, უცებ თავის დამოკიდებულებას სცვლის, მათი რწმუნება ამ მხრით, როგორც სჩანს, ცარიელი სიტყვები ყოფილა და სხვა არაფერი. რაც ამ ჟამათ ხდება ბოლგარეთში, აშკარა დამამტკიცებელია იმისი, რომ ის ენერგიულათ ემზადება ომისთვის,—იარაღს ისხამს. და ყველა ეს ხდება აშკარათ, ყველასათვის დასანახათ. იმ ჯარში, რომელიც ოსმალეთის საზღვარზე მოიყვანა ბოლგარეთმა, რომ დაზვეროს, გამოიკვლიოს ჩვენი ძალა, სადღეისო კითხვათაა გამხდარი, თუ როდის დაიწყება ომი ოსმალეთთან—ბოლგარეთის ასეთი მოქმედება ჩვენც გვაიძულებს თავს კითხვა მივსცეთ—როდის მოგვიხდება ბოლგარეთთან შეტაკება.

ასე რომ, ამ კვანძის გახსნა დღიურ კითხვათაა გადაქცეული და არა მგონია ასეთი ჯიბრით ბოლგარეთმა, რაიმე სარგებლობა ნახოს. ბოლგარეთი, რომელიც ცდილობს ნაპერწკალი ცეცხლათ აქციოს დაინახავს, რომ ბოლგარეთი, რომლის ინიციატივით და სურვილითაც გაჩაღდება ომი ბალკანეთის კუნძულზე, იქნება დამნაშავე ყველა იმ სისასტიკეში, რაიც შეტაკების დროს მოხდება და ამასთან, ის მზათ უნდა იყოს შეურიგდეს ყველაფერს, რაც კი თავს დაატყდება.

ჩვენ ვუცხადებთ ყველა სახელმწიფოებს, რომელნიც კი დაინტერესებულნი არიან მშვიდობიანობით, რომ ჩვენი მოთმინების ფიალა აივსო. ბოლგარეთს უფლება არა აქვს ასეთ შემთხვევაში თავი იმით იმართლოს, რომ ჩვენ შინაურობაში არეული გვაქვს საქმეები. მაკედონიაში შეუწყვეტელი მღელვარებანი ხელოვნურათ გამოწვეულია არა ჩვენ მიერ, არამედ—ბოლგარელ ყაჩაღების მიერ, რომლებიც ტერორით თუ სხვა საშუალებებით მცხოვრებთ აფრთხობენ.

ჩვენ არ ვცდილობთ ბოლგარეთის საზღვრების ხელ-შეუხებლობა შევვლახა, ჩვენი ვერც ერთი ჯარის კაცი ვერ გაბედავდა ბოლგარეთისკენ მიეშვირა თოფი. ბოლგარეთმა უნდა დააფასოს ჩვენი მშვიდობიანი მოქმედება—ეს მისი წმინდა ვალია. ამ საკითხში ევროპის სახელმწიფოთა აზრი ჩვენს მხარეზეა, როგორც მშვიდობიანობის მომხრეებზე. ბოლგარეთს კი, რომელიც პატივს არა სცემს თავის მეზობლის კანონიერ უფლებებს, არ შეუძლია მათ აზრზე დაყრდნობა, მით უმეტეს, რომ ბოლგარეთის მიერ გაღვივებულ ნაპერწკალს საშინელ ცეცხლათ შეუძლია გადაქცევა, სულ ტყუილათ ცდილობს ბოლგარეთი გაამართლოს თავისი ყაჩაღთა ტერორი, რომელნიც მაკედონიაში მოქმედებენ, და რომელიც თითქოს იძულებითი პასუხი იყოს ოსმალთადმი ამ მხარეში მტარვალობის გამეფებისათვის. ასეთ თავის გამართლებას ბავშვიც კი არ დაიჯერებს. დღიდან კონსტიტუციის გამოცხადებისა ოსმალეთში დესპოტიური მართვა-გამგეობა მოისპო და დამყარდა უფლებრივი წყობილება.

დასასრულ საჭიროთ ვთვლით გაფრთხილება მივცეთ ბოლგარიას, რომ ნუ აიძულებს ის ოსმალებს იარაღს მოჰკიდონ ხელი. დეე, იცოდეს ბოლგარეთმა, რომ თუ ომი დაიწყება, ვერ იხსნის ოსმალთა ჯარის აკლებისაგან ბოლგარეთის ტერიტორიას ვერც მისი სამხედრო მზადება, ვერც ბუნებრივათ გამაგრებული საზღვრები და ვერც რუსეთის მასთან კეთილი განწყობილება. დეე, ყველა ეს დაიმახსოვრონ ბოლგარებმა და ფრთხილათ მოიქცენ».

ასეთი აზრისაა ოსმალეთის გავლენიანი პარტია მოსალოდნელი ომის შესახებ, რომელზედაც (პარტიაზე) როგორც ზევით ვთქვით, დამოკიდებულია ოსმალეთის ყოველგვარი კრიზისების გადაწყვეტა. ამის შესახებ „რუსს. ვედომოსტი"-ს შემდეგს სწერს: „საქმე მარტო სიტყვებით და გაზეთში მოთავსებული წერილებით არ თავდება: ოსმალეთის რედიფები, რომელნიც ამას წინეთ მოიწვიეს, დანიშნულ ვადაზე სახლში არ გაუშვეს და ისევ ჯარში რჩებიან. სათადარიგო მაღაზიებში მაკედონიაში საომარ მასალას ეზიდებიან. სტამბოლიდან ხშირათ აგზავნიან სამხედრო სურსათით ტრანსპორტებს, საგანგებო კომისია ათვალიერებს ხიდებს და გზებს, განკარგულებას ახდენს გაამაგრონ ის გზები და ხიდები, რომელნიც საიმედონი არ არიან მძიმე არტილერიის გადასატანათ. ამას დაუმატეთ ბოლგარეთის მეფის პეტერბურგში მოგზაურობა, რომელიც გასული წლის მოგონებას იწვევს ადამიანში, როდესაც ამ გვარივე მოგზაურობის წინა დღით ის ვასალური მთავარი იყო, მარა რუსეთიდან დამოუკიდებულ მეფეთ დაბრუნდა. ბირჟამ ვერ აიტანა ყველა ეს და ოსმალეთის ფონდების ფასი დაეცა".

შემდეგ გაზეთი ეხება საკითხს, არის თუ არა ოსმალეთისთვის ბოლგარეთის მხრით რაიმე შიში და უპასუხებს:—„რასაკვირველია, არის, რასაც ოსმალები ნათლათ აღნიშნავენ, როცა პორტას (მთავრობას) ურჩევენ ყურადღება მიაქციოს არა ათინის მყვირალა ამბებს, არამედ —ჩუმ სოფიისას (ბოლგარიას). ბოლგარია, უეჭველია, ეძებს ტერიტორიის გაფართოვებას და არც შეიძლება ასე არ მოიქცეს, ვინაიდან აქეთკენ მიერეკება ბოლგარეთს მისი ეკონომიური პირობები. ანგარიშში მისაღებია, რომ ბერლინის კონგრესზე ეკონომიურის მხრით ბოლგარეთმა ზარალი ნახა. ოსმალეთის დანარჩენ პროვინციებთან შედარებით დიდი ხანია, რაც ის ვაჭრობა-მრეწველობის, ინდუსტრიის მხარეთ გახდა და სანამ მისთვის ღია იყო მთელი ოსმალეთის ბაზარი, ისიც ნორმალურათ ვითარდებოდა; განთავისუფლების შემდეგ ის მოიმწყვდა ვიწრო საზღვრებში და თავს არა ნორმალურათ გრძნობს, ამიტომ ყოველგვარ საშუალებას ხმარობს, რომ მის ეკონომიურ ზრდას გასაქანი მისცეს. ერთათ-ერთი გამოსავალი ასეთი მდგომარეობიდან შეიძლება ყოფილიყო ბალკანეთის სახელმწიფოთა ფედერაცია, მარა ამ პროექტის ავტორნიც ვერ ეპყრობიან მას სერიოზულათ. ასეთი საშუალებით „ბალკანეთის საკითხის" გადაწყვეტა ყველა სახელმწიფოს დააკმაყოფილებდა. კითხვის ასეთ ნაირათ გადაუწყვეტელათ ბოლგარეთი ყოველთვის ეცდება საკითხის ძალით გადაწყვეტას. ამასთან, ბოლგარეთმა ისეთი ჯარი შექმნა, რითაც მართლა შეუძლია თავი იამაყოს"..

ასეთია ჯერ-ჯერობით მოსალოდნელი ომის ვითარება და შემდეგში რაც მოხდება, ახალი მომავალი დაგვანახვებს.

## თეატრი და ხელოვნება

—

**ფოთი.** 20 თებერვალს ადგ. საკრებულოს დარბაზში ადგილობრივ სცენის მოყვარეების მიერ გამართულ იქნა დრამატიული საღამო; საღამოს მუშები ძალიან ჩვეულებათ დაესწრო. სამწუხაროა მუშების მხრით ასეთი გულცივობა მით უმეტეს დღეს როდესაც ყოველივე ასეთ კულტურულ გასართობებს მუშები ძალიან მოკლებულნი არიან. ქეიფობენ, ნარდ-კამათლების სათამაშოთ ფულები არ შურთ და თვით განვითარების საქმეში კი შაურსაც არ გამოიღებენ. საღამო კარგათ ჩაატარეს. კარგათ იმღერეს ქ-ნმა ნ. ს. კასპაროვიჩისამ და ა. ვ. მეგრელიძემ. კარგათ წაიკითხა რუსულ ენაზე დექსი ა. ფ. ბნკმა; ბ. კარაბახელმა ქართულ ენაზე წაიკითხა გოგოლის შეშლილის წერილები. ან. ჟღენტმა დეკ., „მხიარული ცხოვრება" სიმღერა და ნაწყვეტები კ. ჯანგულიძემ, ქ-ნმა ა. გაწერელია-ჩაჩანიძემ დექსი: „ვითომდა ისიც ქრისტიანია" (ვ. რუხაძისა).

ახ.-ამ. მაიდნელი.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით გამგეობის სახელით ულრმესი მადლობა გამოუცხადო იმ პირთ, რომლებმაც მარტვილის უფასო სამკითხველოს ფულით თუ გაზეთის გამოწერით დახმარება აღმოუჩინეს. აი მათი სია: გ. ფ. ზდანოვიჩმა—10 მ. ალ. ს. საყვარელიძემ, პ. ვ. გეგეჭკორმა და ამბ. წოწორიამ ხუთ-ხუთი მანეთი. ი. ვ. ვარტოზიამ—3 მ. ს. ი. საბაშვილმა—2 მ. ეფ. ელიავამ და ფ. თოდუამ თითო მანეთი, ნადეჟდა გეგეჭკორისამ ჟურნალი «სხივი» ალ. გეგეჭკორმა—«გლეხი კაცის ისტორია». ვარლამ ჩახავასაგან მივიღეთ 14 მ. და 40 კ. აი შემომწირველთა: თითო მანეთი: არტ. ომიაძემ, ლავრენტი გვალიამ, ს. ჭიპალუამ, ივ. მინინოშვილმა, პლ. ჯღარკ. პავ. ქორაიამ, ალ. არბედიამ, გაბრ. ჩახავამ, ვ. სახავამ, კოსტ. არებავამ, ესტ. თოფურიამ; ათი შაური: ვ. არკალაიამ, კონდ. მაკალათიამ, ა. ხარებავამ, დვალმა, დ. გიორგობიანმა, ვ. ქვიცაძემ, ე. სათიანმა: ე. კუჭუხიძემ 1 მ. და 60 კ. თითო აბაზი: დ. მასიავამ, ალ. თვასაძემ, ტარასიამ, გ. რუაშვილმა, დ. პატარაძემ; გრ. ხვედელიამ—30 კ.

გამგ. წევრი ზ. ჭალაგანიძე.

რედაქტორ-გამომც. მ. არველაძე


# განცხადება

კბილის საექიმო კაბინეტი
**იოხველისა**
(„გაუფრთხილდით კბილებს" ავტორის, ფასი 15 კ.) კბილების აქიმობა, ღრძილების, ძირების და პირიდან ცუდი სუნის. ხელოვნური კბილების ჩასმა. მიხაილოვის ქუჩა, 124, კბილის საექ. სკოლის გვერდით. (100—24)

სამღვთო სჯულის
**სახელმძღვანელო**
შედგენილი დეკ. ნ. უკანეიშვილისა მრავალი სურათებით და ყდით იყიდება 24 კ.
ქ. თავართქილაძესთან.


### მატარებლების მიმოსვლა

15 ოქტომბრიდან 1909 წ.

საათები აღნიშნულია თფილისის დროზე.

**თფილისიდან გადის**

**ბაქოსკენ:** საფოსტო № 4, 11 ს. 40 წ. საღ., სამგზავრო № 6, 8 ს. 11 წ., დილით სამგზავრო № 12, 10 ს. 11 წ. საღ., შერეული მე-IV კლასის ვაგონებით № 106, 7 ს. 3 წ. დილით.

**ბათუმისკენ:** საფოსტო № 3, 9 ს. 42 წ. დილით; სამგზავრო № 5, 1 ს. ღამით; სამგზავრო № 7, 8 ს. 10 წ. საღამოს; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით, 4 ს. 28 წ. დღით.

**თფილისში მოდის**

**ბაქოდან:** საფოსტო № 3, 8 ს. 42 წ. დილ., სამგზავრო № 5, 12 ს. 11 წ. ღამით; სამგზარო № 11, 10 ს. 47 წ. დილ.; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 107 3 ს. 16 წ. დღით.

**ბათუმიდან:** საფოსტო № 4, 10 ს 40. წ. საღამოს; სამგზავრო № 6, 7 ს. 21 წ. დილით; სამგზავრო № 8, 12 ს. 17 წ. დღით; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 106, 5 ს. 53 წ. დილით.

**თფილისიდან გადის**

**მიხაილოვში:** სამგზავრო-საქონლის № 9, 3 ს. 23 წ. დღით.

**თფილისში მოდის**

**მიხაილოვიდან:** სამგზავრო-საქონლის № 10, 8 ს. 23 წ. დილით.

**ყარსის გზაზე**

**თფილისიდან გადის:** საფოსტო № 74/75 ჯულფაში, 1 ს. 37 წ. ღამით; სამგზ.-საქონლის № 72/79 ერევანში, 4 ს. 20 წ. დღით; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 10 109, ალექსანდროპოლში 5 ს. 8 წ. დღით.

**თფილისში მოდის:** საფოსტო № 72/73 ჯულფიდან 6 ს. 19 წ. დილით; სამგზავრო საქონლის № 80/81 ერევნიდგან 6 ს. 44 წ. საღ.; შერეული მე-IV ლვ. ვაგონებით № 110/111 ალექსანდროპოლიდან ღამით 4 ს. 48 წ.